მესხეთის უნივერსიტეტი

№ 10-11 (266) ნოემბერი-დეკემბერი, 2019 წელი • გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან

ჯასთინ მაქენზი სმითი: ურთიერთობა ჩვენს შორის განსაკუთრებულია

საინტერესო და მნიშვნელოვანი დღე გახლდათ 6 დეკემბერი სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ცხოვრებაში. ამ დღეს უნივერსიტეტს დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის ელჩი **ჯასთინ მაქენზი სმითი** ესტუმრა. სამეცნიერო ბიბლიოთეკაში შედგა ელჩთან შეხვედრა, რომელსაც უნივერსიტეტის სტუდენტები და პროფესორ-მასწავლებლები ესწრებოდნენ.

გაგრძელება მე-2 გვ.

ახალი თანამშრომლობის დასაწყისი

გვ.4

გვ.5 **დამცვიცდა უნივერსიტეტის 2020 წლის მიუჯვეტის პროექტი**

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2020 წლის ბიუჯეტი

გვ.5

„ახალგაზრდებს ვეტყვი - დრო არ დაკარგონ უქმად“

გვ.11

მილოცვა

უნივერსიტეტის განვითარების პროცესისთვის თითოეულ წელს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, მაგრამ არის წლები, რომლებიც სიმბოლური დატვირთვით გამოირჩევა, 2020 სწორედ ასეთია, ის უნივერსიტეტის არსებობის 30-წლოვანი იუბილეს აღნიშვნის თარიღია. შემთხვევითი არც ის არის, რომ 2020-ის წინ უმნიშვნელოვანესი პროცესი – ავტორიზაცია უძღვოდა. მადლობას მოვახსენებ თითოეულ სტუდენტს, აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალს, რომელთაც წვლილი შეიტანეს ავტორიზაციის პროცესის მომზადებაში.

განსაკუთრებული მადლობა კურსდამთავრებულებს და დამსაქმებლებს, რომელთა დამოკიდებულება განმსაზღვრელი იქნება ჩვენი წარმატებისთვის.

უნივერსიტეტმა საკმაოდ ამბიციური გეგმები დაისახა მიზნად აღიარებული მისიის განსახორციელებლად.

ერთიანობითა და თანამშრომლობით ჩვენ შევძლებთ გავაძლიეროთ უმნიშვნელოვანესი საგანმანათლებლო კერა – სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

გილოცავთ დამდეგ შობა-ახალწელს! გილოცავთ ყველას, ვინც მონაწილეობს უნივერსიტეტის განვითარებაში, ვინც გულშემატკივრობს და სწორად იაზრებს უნივერსიტეტის ფუნქციას და მნიშვნელობას.

ქვეყნის გაძლიერების, წინსვლისა და განვითარების ყოფილიყოს დამდეგი ახალი წელი!

რექტორი
მაკა ბერიძე

კიდევ ორი აკრედიტებული პროგრამა სამაგისტრო და სადოქტორო დონეებზე

13 დეკემბერს, ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ წარდგენილმა ორმა პროგრამამ მიიღო აკრედიტაცია სრული ვადით.

1. ვეტერინარიის ინტეგრირებულ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას (ხელმძღვანელი პროფესორი ლევან მაკარაძე) აკრედიტაცია მიენიჭა 4 წლის ვადით, როგორც პირველად წარდგენილ პროგრამას. 2020-2021 სასწავლო წელს სახელმწიფო უნივერსიტეტებს შორის მხოლოდ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტს ექნება შესაძლებლობა, მიიღოს აბიტურიენტები ამ მიმართულებით.

2. ეკონომიკის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას (ხელმძღვანელი პროფესორი გოჩა თუთბერიძე, თანახელმძღვანელი ასოცირებული პროფესორი ნანა ჯღარკავა) აკრედიტაცია მიენიჭა 7 წლით, როგორც რეაკრედიტირებულ პროგრამას.

ვულოცავთ უნივერსიტეტს, ფაკულტეტებს, აკადემიურ პერსონალს, სტუდენტებსა და აბიტურიენტებს.

გელით აკრედიტებულ პროგრამებზე!

ვახტანგ ინაურის – 70

„მესხეთის ნოსტალგია“

გვ.9

გვ.4 **„თანასწორობა ნიშნავს, ყველას ჰქონდეს შესაძლებლობა, ჩაერთოს ქვეყნის მანვითარებაში“**

„ცოდნის მიღების სამყარო ამოუწურავია“

გვ.3

ქართველოლოგიური კვლევები საგზლებრჩევ

გვ.7

როინ ყავრელიშვილი: უნდა გავაცნოთ ჩვენი სამეცნიერო პროდუქცია სამეზობლოს

გვ.8 **და უნდა გავიცნოთ ისინი**

გვ.12

თამარ თამარაძის ფერწერა ჰარმონია

ჯასთინ მაქენზი სმითი: ურთიერთობა ჩვენს შორის განსაკუთრებულია

პირველი გვერდიდან

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, ასოცირებული პროფესორი **მაკა ბერიძე** მიესალმა მობრძანებულ სტუმრებს და მადლობა მოახსენა ელჩს. **ბატონო ელჩო, ევროპა, ევროპული ღირებულებები ჩვენი სახელმწიფოს პრიორიტეტია. მეამაყება, რომ სულ ახლახან საქართველო ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის თავმჯდომარე ქვეყანა გახდა. ჩვენი უნივერსიტეტიც თავის მისიაში ცალსახად გახაზავს, რომ სურს ევროპულ საგანმანათლებლო სივრცესთან ინტეგრაცია. გვინდა, ჩვენი საგანმანათლებლო პროგრამები დავუახლოვოთ ევროპულ განათლებას. გვინდა, ჩვენს სტუდენტებს ისეთივე საგანმანათლებლო სივრცე შევუქმნათ, როგორიც აქვთ ევროპელ სტუდენტებს.**

ქალბატონმა მაკამ ელჩს უნივერსიტეტის შესახებაც მოახსენა, რომ ინგლისური ფილოლოგიის პროგრამის ფარგლებში სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები სწავლობენ ბრიტანეთის ისტორიას, ბრიტანული ლიტერატურის ისტორიას. სხვა სპეციალობის სტუდენტები იკვლევენ რუსთაველისა და შექსპირის დიდებულ ლიტერატურას, ბაირონსა და ბარათაშვილს, წერენ სამაგისტრო ნაშრომებს.

ასე რომ, უნივერსიტეტისთვის ბრიტანული კულტურა ახლობელია, საინტერესო და სასწავლო პროცესისთვის მნიშვნელოვანი ნაწილი.

უნივერსიტეტის შესახებ პრეზენტაციები წარადგინეს ინგლისური ფილოლოგიის სპეციალობის სტუდენტებმა. მათ დეტალურად ისაუბრეს არსებულ ფაკულტეტებზე, სასწავლო პროგრამებზე, უნივერსიტეტში მიმდინარე სტუდენტურ ცხოვრებაზე და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე; ყურადღება გაამახვილეს საერთაშორისო ურთიერთობების მნიშვნელობაზე.

ინგლისური ფილოლოგიის მიმართულების ხელმძღვანელმა, ასოცირებულმა პროფესორმა **გულიკო ჯანოვამ** ისაუბრა უნივერსიტეტში ინგლისური სპეციალობის საქმიანობასა და ინგლისური ენის კაბინეტების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ. აღნიშნა, რომ ინგლისურის მიმართულებით ეწყობა ინგლისურენოვანი კონფერენცია როგორც სტუდენტთათვის, ასევე, სკოლების მასწავლებელთათვის. ისაუბრა ამერიკის საელჩოს დახმარებით უნივერსიტეტში მოხალისე ლექტორების ჩამოსვლის შესახებ: **მადლობა უნივერსიტეტს, რომ არსებობს გაცვლითი პროგრამები, რომელიც სტუდენტებს აძლევს საშუალებას, მიიღონ მონაწილეობა და ისწავლონ საზღვარგარეთ. ინგლისური ფილოლოგიის კურსდამთავრებულები გვხვდებიან ყველგან, რაც გვეამაყება. სტუდენტების გარდა, გაცვლით პროგრამებში მონაწილეობას იღებს აკადემიური პერსონალი. ეს გვეხმარება, რომ ახალი მეთოდოლოგია შემოვიტანოთ სასწავლო პროცესში. მინდა, მადლობა ვუთხრა ბრიტანეთის საელჩოს. ჩვენ გვქონდა ურთიერთობა და გადმოგვცეს წიგნები, ლექსიკონები, რაც ჩვენთვის მნიშვნელოვანი დახმარება იყო.**

ინგლისის საელჩოსთან არსებულ ურთიერთობებზე ისაუბრა რექტორის მოადგილემ სამეცნიერო დარგში, პროფესორმა **მერაბ ბერიძემ: ბრიტანეთის საელჩოსთან საინტერესო კონტაქტები გვქონდა. აქ არ იყო მხოლოდ დახმარების ნაწილი. პირველ რიგში, ადამიანური მომენტი იყო წინა პლანზე წამოწეული. მინდა, გავიხსენო საოცარი პიროვნება – დონალდ მაკლარენი. ჩვენ ერთად დავათვალიერეთ სამცხე-ჯავახეთი. ბრიტანეთის საელჩოსთან ბევრი მოგონება გვაკავშირებს. მაშინ, როდესაც უნივერსიტეტი იყო ახლად გახსნილი, თითოეული ადამიანის გვერდში დგომა ბევრს ნიშნავდა. ამიტომ, დღევანდელი თქვენი სტუმრობა მნიშვნელოვანია ჩვენი უნივერსიტეტისთვის, ასევე, ჩვენი მხარისთვის.**

დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის ელჩმა სამომავლო თანამშრომლობისა და პერსპექტივების შესახებ ისაუბრა და აუდიტორიას იმ სასწავლო-საგანმანათლებლო პროგრამებზე მიაწოდა ინფორმაცია, რომელსაც ბრიტანეთის საელჩო სთავაზობს დაინტერესებულ პირებს. **მოხარული ვარ, რომ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში ვიმყოფები. პრეზენტაცია, რომელიც სტუდენტებმა წარმოადგინეს, იყო საინტერესო. თქვენი მხარე მრავალფეროვანი რეგიონია. აქ ყველა ერთად მუშაობთ, სწავლობთ და ეს ღირებულია. ჩემთვის ყველა თქვენგანი ხართ მაგალითები. ევროპულ ღირებულებებს რომ იზიარებთ, ეს ნათელია. ურთიერთობები ჩვენს შორის განსაკუთრებულია და შინაგანად მოდის. ჩემი პასუხისმგებლობა, თქვენი პასუხისმგებლობა ჩვენი პასუხისმგებლობაა. გავუფრთხილდეთ ამ ურთიერთობებს.** – აღნიშნა ელჩმა და სტუდენტთა არაერთ კითხვას უპასუხა.

აღნიშნული შეხვედრა პროექტის **„კეთილი იყოს თქვენი მობრძანება ბრიტანულ შემოდგომაზე საქართველოში“** ფარგლებში გაიმართა. პროექტი ორ ქვეყანას შორის განსაკუთრებულ მეგობრობას აღნიშნავს.

ლიკა ზაზაშვილი

საკვანძო საკითხი ~ სწავლის ხელშეწყობისთვის ალბუდი ვალდებულებები

11 ნოემბერს, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტს სამუშაო ვიზიტით ეწვია ა(ა)იპ–განათლების პოლიტიკის, დაგეგმვისა და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტის თანამშრომელთა ჯგუფი, ინსტიტუტის პრეზიდენტის **თამარ სანიკიძის** ხელმძღვანელობით. შეხვედრა, რომელსაც უნივერსიტეტის სტუდენტობა და აკადემიური პერსონალი ესწრებოდა, გაიმართა ზაზაძის სახელობის საკონფერენციო დარბაზში, სადაც სტუმრებს მიესალმა, ნაყოფიერი მუშაობა უსურვა და ურთიერთთანამშრომლობის მზაობა გამოთქვა უნივერსიტეტის რექტორმა, ასოცირებულმა პროფესორმა **მაკა ბერიძემ.**

პრეზენტაციის დაწყებამდე მოხდა სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და განათლების პოლიტიკის, დაგეგმვისა და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტთან ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმება. პრეზენტაცია, რომელიც შეეხებოდა პროექტს **„ევროკავშირის პოლიტიკასა და პრაქტიკასთან ასოცირება: უწყვეტი განათლების პრინციპების დანერგვა მდგრადი განვითარებისათვის“,** წარმოადგინა ორგანიზაციის წევრმა – **ნინო ბეგიაშვილმა.** მან ისაუბრა პროექტის საკვანძო თემებზე, რომელიც საქართველოს ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების, მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის ხელშეწყობისათვის აღებულ ვალდებულებებს წარმოადგენს.

ღონისძიების მონაწილენი პრეზენტაციის განხილვაში კითხვების საშულებით ჩაერთნენ. რამდენიმე სტუდენტმა წარმოდგენილ პროექტში მონაწილეობის სურვილი გამოთქვა.

რობერტ ლემანის პრეზენტაციები

ბერნის უნივერსიტეტის პროფესორმა **რობერტ ლემანმა** სამუშაო შეხვედრა გამართა სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრონომია/ექსტენცია და აგროგანათლების საბაკალავრო პროგრამისა და მაინორის განხორციელების ფარგლებში. მაინორ პროგრამა შემუშვებულია შვეიცარული მოდელის მიხედვით და ქართული მოდელიც პროფესიული განათლების მასწავლებლებისა და ექსტენციონისტების მოსამზადებლადაა განკუთვნილი.

ბატონმა ლემანმა თავის პრეზენტაციებში ის გამოცდილება გააცნო აუდიტორიას, რომელიც მის ქვეყანაში პროგრამის დანერგვას ახლდა და რისი გათვალისწინება წაადგება სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქმიანობას ამ მიმართულებით და ხელს შეუწყობს აგრონომიის პროგრამის შემდგომ განვითარებას.

შეხვედრაში, რომელიც 12 - 13 ნოემბერს გაიმართა, მონაწილობდნენ პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესორ-მასწავლებლები, სტუდენტები, თემით დაინტერესებული მაგისტრანტები და დოქტორანტები. სესიები შვეიცარული გამოცდილების, ექსტენციის მეთოდების, მონიტორინგისა და ხარისხის უზრუნველყოფის ირგვლივ ითვალისწინებდა კითხვა-პასუხის რეჟიმს.

ექსტენციისა და აგროგანათლების მაინორის პროგრამა, რომელიც შემუშვებულია გაეროს განვითარების პროგრამისა და შვეიცარიის მთავრობის მხარდაჭერით, ინოვაციაა საქართველოს განათლების სისტემაში. მისი დანერგვა სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაიწყო პროგრამის წარმატებული აკრედიტაციის შემდეგ.

ინფორმაციები უნივერსიტეტის facebook-ის გვერდიდან

ბლიც-ინტერვიუ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორთან – მაკა ბერიძესთან

„ცოდნის მიღების სამყარო ამოუწურავია“

– მაკა ბერიძე სახლში, ოჯახთან...

– პასუხი მარტივია, სახლში არ ვარ. გამომდინარე ამ რეჟიმიდან, ოჯახისთვის ვარ ადამიანი, რომელსაც ყოველთვის ელოდებიან, რომელიც ყოველთვის აგვიანებს და ყოველთვის დაკავებულია.

– შვილები...

– ძალიან მიჭირს შვილებზე საუბარი, რადგან მათზე კარგის თქმის კომპლექსი მაქვს, მაგრამ გულწრფელად რომ გითხრა, ცუდს არ იმსახურებენ. იქიდან გამომდინარე, რომ სახლში ხშირად არ ვარ, ჩემი შვილები არიან ძალიან დამოუკიდებელი ადამიანები. გადაწყვეტილებებს იღებენ დამოუკიდებლად, საკუთარ თავს უვლიან დამოუკიდებლად, ურთიერთობებს აგვარებენ დამოუკიდებლად და მე მხოლოდ ვარ მათი შედეგების თანაზიარი. ამიტომ ბავშვებთან ურთიერთობაში ვარ მსმენელი. არ გამოგვდის მე და ჩემს შვილებს რამის ერთად დაგეგმვა და განხორციელება. ისინი ჩემგან ძალიან განსხვავდებიან.

ჩემს შვილებს დედაც და მამაც ჰყავთ ჰუმანიტარები. თუმცა, ჩემმა ვაჟმა აირჩია სრულიად განსხვავებული პროფესია – საბუნებისმეტყველო მეცნიერებები. ეს გადაწყვეტილება იყო სრულად მასწავლებლის დამსახურება და თან აირჩია ინგლისურენოვანი პროგრამა. მე შემაშინა მისმა ამ გადაწყეტილებამ, მაგრამ დავმალე. გოგონა კიდევ უფრო დამოუკიდებელია. როდესაც ვეკითხები, რა პროფესია გინდა აირჩიო, პასუხი აქვს ჩემთვის აბსოლიტურად მიუღებელი – პროფესია, რომელიც გარანტი იქნება ფუფუნების, მაგრამ ჯერ არ ვიცი, რომელია ასეთი პროფესია.

– თქვენ შემთხვევაში, რამ გაანაპირობა პროფესიის არჩევა?

– ჩემს შემთხვევაშიც მასწავლებელმა მოახდინა გავლენა. ყველა შესანიშნავი მასწავლებელი მყავდა. თუ გარკვეულწილად ჩემი ნაბიჯები იყო წარმატებული, მე ვიტყოდი, რომ ეს წარმატება დამოკიდებული იყო ჩემს სკოლაზე და ჩემს მასწავლებლებზე. ჩემი გამართლება დაიწყო მაშინ, როდესაც პირველი მასწავლებელი შემხვდა ის, ვინც შემხვდა. ის იყო ლალი პაპუაშვილი. იმ წელს იგი იყო სულხან-საბას უნივერსიტეტის კურსდამთავრებული და მისთვის იყო მასწავლებლობის პირველი წელი. იგი იყო ჩემი პირველი მასწავლებელი და მე მისი პირველი მოსწავლე. ეს იყო რაღაცა არაჩვეულებრივი შეხვედრა და ასე დაიწყო ჩემი პროფესიის ჩამოყალიბება. მეოთხე კლასში ჩვენ გვქონდა ალბომი, სადაც ვწერდით ჩვენს სურვილებს და მე დავწერე „მსურს გავხდე ლალი მასწავლებელი.“ თუმცა, ამომაშლევინეს და მითხრეს, რომ მე ლალი მასწავლებელი ვერ გავხდებოდი. პატარა ბავშვს ეს მიკვირდა, არ მინდოდა სხვა მასწავლებელი ვყოფილიყავი; მინდოდა ლალი მასწავლებლობა. მერე მოვიდნენ ქართულის სხვა მასწავლებლები... მოვიდა მზევინარ მასწავლებელი... შემდეგ გავიაზრე, რომ მეოთხე კლასში დაწერილმა სურვილმა მიიღო ძალიან კონკრეტული სახელი – ქართულის მასწავლებელი.

– პირველი ლექცია...

– მაშინ უნივერსიტეტში იყო ასეთი წესი, არ შეიძლებოდა ახალგაზრდა კადრის შეშვება ლექციაზე, თუ ის არ ჩაატარებდა საჩვენებელ ლექციას. მეც სწორედ ასე დამავალეს, ამერჩია რომელიმე თემა ფონეტიკიდან და ჩამეტარებინა. ეს არ იყო ტიპური ლექცია, რადგან ჩემი მსმენელები არ იყვნენ სტუდენტები, ისინი იყვნენ ჩემი კოლეგები. დაიწყო ლექცია და დავსვამდი თუ არა კითხვას, მშვენივრად მპასუხობდნენ და გამიჩნდა განცდა, რომ ლექციის ჩატარება მარტივი ყოფილა. თუმცა, როგორც კი ეს ლექცია დავამთავრე იმით შთაგონებულმა – რა მარტივია ლექციის ჩატარება, ნამდვილ ლექციაზე მოვხვდი, რომელიც უნდა გაგრძელებულიყო 45 წუთი. 20 წუთის შემდეგ ჩავირბინე და მაშინდელ რექტორს ბატონ კოტე კაკიტაძეს ვუთხარი, რომ მე აღარასოდეს შევიდოდი ლექციაზე. იმ ლექციაზე მე კი ვიცოდი რაზე ვსაუბრობდი, მაგრამ განსხვავებით კოლეგა მსმენელებისგან, სტუდენტები ისხდნენ ჩუმად, არავინ იძვროდა. რომელ მხარესაც გავიხედე, დავინახე, არავინ მისმენდა, ზოგი ფანჯარაში იხედებოდა, ზოგი მათვალიერებდა, ზოგი ჩემი თხრობის მანერას აკვირდებოდა. ერთი სიტყვით, ამხელა აუდიტორიაში ვერ მოვძებნე ადამიანი, რომელსაც ფონეტიკა აინტერესებდა და ეს იყო ძალიან მძიმე.

რა თქმა უნდა, შემდეგ წლებმა გაიარა და მე ვისწავლე, რომ თუ თანაზიარი არ გახდა სტუდენტი იმისა, რასაც შენ აკეთებ, ისე არაფერი გამოვა. ახლა, სანამ დავიწყებ საუბარს, პირველი წუთიდან ვიწყებ მათ მოსმენას და როგორც კი აუდიტორიაში შევდივარ, სტუდენტები, ახალგაზრდები, მსმენელები, თავიანთი მზერით, თავიანთი ხედვით, სიჩუმითაც კი მაგრძნობინებენ, რა მოლოდინი აქვთ. მე არ შევდივარ მკაცრად ჩამოყალიბებული სათქმელით. რა თქმა უნდა, ვიცი, რაზე უნდა ვისაუბრო, რა თქმა უნდა, მაქვს ჩემი მიზნები, მაგრამ როგორც წესი – ჯერ ვუსმენ აუდიტორიას და მხოლოდ ამის შემდეგ გადავდივარ ჩემი სათქმელის ხმამაღლა გაზიარებაზე. როდესაც დავრწმუნდები, რომ მზად არიან მოსასმენად, შემდეგ ვიწყებ იმიტომ, რომ თუ არ არის აუდიტორია მზად იმ დროს შენს მოსასმენად, აზრი არ აქვს საუბარს. ძალიან ხშირად შემიცვლია და გადამიფიქრებია სათქმელი ლექციაზეც და შეხვედრაზეც, რადგან თუ არ მოხდა ინტერესთა თანხვედრა, თუ არ აინტერესებთ, შენ რას ამბობ და შენ არ გაინტერესებს, მათ რა აქვთ სათქმელი, შეხვედრა ვერ შედგება.

– კარიერისკენ გზას აშენებდით...

– დაიჯერებთ, რომ ვთქვა – ეს იყო ზურგის ქარი, რომელიც მე მეხმარებოდა ძალიან ხშირად; ვირჩევდი მიმართულებას, საით უნდა წავსულიყავი, მომყვებოდა ზურგის ქარი და თუ ძლიერი იყო, გადამაგდებდა შორს. ქარი სუსტიც ყოფილა, ასეთ შემთხვევაში ერთ ადგილას გავჩერებულვარ. ზოგჯერ ზურგის ქარს მოჰყოლია ზღვის ტალღა და უცებ აღმოვჩენილვარ სრულიად სხვა რეალობაში. ჩემს ცხოვრებაში ასეთი იყო ახალქალაქში წასვლა და იქ მუშაობა, რომელმაც საერთოდ გადააბრუნა ჩემი ხედვა სამყაროსადმი. ამ ზურგის ქარს თან ახლდნენ ჩემი მასწავლებლები, პროფესორები... როდესაც ახალციხიდან წავედი ახალქალაქში, მე კიდევ ერთი უნივერსიტეტი დავამთავრე და კიდევ ერთი პროფესია შევიძინე იქ. შემდეგ იყო ცოტა ინერციაც. ერთი სიტყვით, ყველაფრით ვაშენებდი კარიერულ გზას.

– ენერგიითა და შთაგონებით გავსებთ...

– არ მინდა ტრაფარეტული გამოვიდეს, მაგრამ ეს არიან სტუდენტები. ვყოფილვარ ძალიან ბევრჯერ ისეთ საზოგადოებაში, საიდანაც შთაგონებული წამოვსულვარ. როგორც იმუხტება ელექტრო მუხტით ნებისმიერი აპარატურა, ასე ვიმუხტები, როდესაც სტუდენტებისგან მოდის ახალი ენერგია. არ ვსაუბრობ მხოლოდ ინფორმაციაზე. შეიძლება მოდიოდეს საოცარი მუხტი და ამ დროს გამტარივით ვარ. ხშირად ხდება, რომ მომაკლდება ეს ენერგია და მაშინვე ვცდილობ მოვძებნო გზები მათთან შესახვედრად. ასევე, ენერგიით მავსებენ პატარა ბავშვები, რომლებმაც არაფერი იციან და არიან აბსოლუტურად გულწრფელები. მომწონს, როდესაც გულწრფელად მეჩხუბებიან, გულწრფელად მიღიმიან და გულწრფელად მიტეხენ და მინაწილებენ კანფეტს, რომელიც ხელში აქვთ.

– უნივერსიტეტს სჭირდება...

– სიახლეები. მე გეტყვით, რისი მეშინია ყველაზე მეტად. მეშინია იმის, რომ შეწყდეს განვითარება, რადგან უკვე მყარია ის მექანიზმები, რომელიც მუშაობს და დიდია იმის რისკი, რომ ამ ინერციით გააგრძელოს არსებობა და აღარ განვითარდეს. არადა, დღეს არის საოცარი კონკურენცია, რომელსაც ოდნავი მოდუნებაც კი არ უხდება. რელიგიურ ტერმინოლოგიაში არის არაჩვეულებრივი სიტყვა „მღვიძარება“, რომელიც ნიშნავს მუდმივ სულიერ შემართებას და ყოველთვის ვამბობ, რომ უნივერსიტეტს სჭირდება მღვიძარება, არ შეიძლება მოდუნდეს. მაშინაც კი, როდესაც გარკვეული პროცესები გადაივლის, დამთავრდება თუ არა ერთი ეტაპი, თუ არ განავითარე მიღწეული, უკვე გვიანდება. განვითარებაში არის ორი მთავარი რამ – წინ წასვლა და მიღწეულის შენარჩუნება. მიმაჩნია, რომ მუდმივი მღვიძარება უნივერსიტეტის შიგნით და გარკვეული სარისკო ნაბიჯებიც საჭიროა. ეს ყველა დაწესებულებისთვის აუცილებელია და განსაკუთრებით უნივერსიტეტისთვის, რადგან მან კიდევ უფრო უნდა გაუსწროს სხვა დაწესებულებებს თავისი განვითარებით.

– რა თვისებას უბოძებდით თქვენს თანამშრომლებს?

– ჩემთვის მთავარი არის ინიციატივა. ამ ინიციატივის წარდგენა, ინიციატივის მიღება და განხორციელება. აი, ეს არის ჩემთვის მნიშვნელოვანი. არაფერი ისე არ მიღირს, როგორც ახალი იდეა, როგორც ახალი ინიციატივა და ვცდილობ, ბარიერი არ შევუქმნა იდეას. არ მინდა, იფიქროს თანამშრომელმა – ვუთხრა თუ არ ვუთხრა. მაშინაც კი თუ ამ ინიციატივას არ გავიზიარებთ, ეს გადაწყვეტილება იქნება არგუმენტირებული.

– ნიჭი, რომელიც გინდათ რომ გქონდეთ...

– მე მინდა ძალიან, რომ მქონდეს პოეტური ნიჭი, შექმნის ნიჭი. რასაც ვწერ, არ მომწონს. ჯერჯერობით მხოლოდ ვგრძნობ სიტყვებს, ფრაზას ვგრძნობ და მე ჯერ ისეთი ფრაზა არ დამიწერია, რომ მომწონებოდა. ძალიან მინდა, ხელოვნების რომელიმე სფეროში მქონდეს ნიჭი, რადგან მე მგონია, რომ ყველაზე ახლოს შემოქმედთან დგას ხელოვანი. ყველაზე ახლოს ამ სამყაროს იდუმალებას, ამ სამყაროს მშვენიერებას და, საერთოდ, ამ ცხოვრების არსს ხვდებიან ის ადამიანები, რომლებიც ხელოვნებით ეზიარებიან ამ ყველაფერს.

– რჩევა სწავლის მძებნელს...

– მე მთავარს ვეტყოდი მათ – მაშინ მთავრდება ყველაფერი, როდესაც დაიჯერებ, რომ იცი. ეს შეიძლება ძალიან ბანალურია, მაგრამ სწავლის მძებნელს უბრალოდ მივცემდი რჩევას, რომ დატკბეს ამ პროცესით და არასდროს თქვას უარი ამაზე. ცოდნის მიღების სამყარო ამოუწურავია. არ ეშინოდეს, რომ რაღაც არ იცის.

– რას ფიქრობთ, როგორ აღგწერენ სტუდენტები?

– მიფიქრია და მეშინია ხოლმე, სიმართლე გითხრათ, ამის. რატომ, იცით? იმის მეშინია, რასაც არ ამბობენ. პრინციპში, ყოველთვის დადებითი მოდის მათგან და სულ მეშინია იმის, რასაც ვერ ამხელენ; მაინტერესებს, რა შეიძლება ეს იყოს. არ ვიცი, მე როგორ მახასიათებენ. ეგ არის ერთადერთი, არ მიკვლევია. მე გეტყვით, რა არ მინდა თქვან სტუდენტებმა. მე არ მინდა თქვან, რომ ის, რისი თქმაც ჩემთვის უნდათ, ჩემთვის უმნიშვნელოა. არ აქვს მნიშვნელობა, რა არის ის, რამაც ჩემთან მოიყვანა. აქამდე თუ მოვიდა, ესე იგი, მნიშვნელოვანი აქვს სათქმელი. მეშინია, არ თქვან, რომ ჩემთვის სულ ერთია.

– პრინციპები თუ სურვილები?

– სამწუხაროდ, პრინციპები. ძალიან ხშირად პრინციპები ეწინააღმდეგება სურვილებს, განსაკუთრებით ამ ბოლო დროს. საკუთარ თავს ვეუბნები – პრინციპები! არ დაგეტყოს სურვილი, არ შეგისუსტდეს პრინციპები!

– მთავარი შეხვედრა...

– 1990 წელი იყო, როდესაც ამ უნივერსიტეტში მოვედი, უნდა შემომეტანა საბუთები, როგორც სტუდენტს და იყო განცხადება დასაწერი. მე დავწერე ეს განცხადება შეცდომით. ერთ-ერთმა ადამიანმა წაიკითხა, გაბრაზებულმა შემომხედა და თქვა, რომ წერა-კითხვა არ იციან ამ სტუდენტებმაო. მე ვიჯექი განადგურებული, რადგან არ ვიცოდი განცხადების წერა. ამ დროს გამოვიდა საგამოცდო კომისიის ერთ-ერთი წევრი. მოვიდა ჩემთან, მომცა ჩუმად განცხადების ნიმუში და გადამაწერინა. ეს იყო ჩემი ცხოვრების მთავარი შეხვედრა, რადგან უცებ შეიცვალა უნივერსიტეტზე ჩემი წარმოდგენა. მე მივხვდი, რომ იქ, სადაც მოვდიოდი, იყო ძალიან დიდი ადამიანური გარემო, სადაც ასწავლიან, პატიობენ და სადაც მთავარი ურთიერთობებია.

– წიგნი, რომელმაც შეგიცვალათ მსოფლმხედველობა...

– მსოფლმხედველობაზე მნიშვნელოვანს გეტყვით. წიგნი, რომელიც ვერ ამოვწურე და საზომი გახდა ჩემთვის, არის „ვეფხისტყაოსანი“. ერთ ამბავს მოვყვები, ჩემმა ქალიშვილმა მთხოვა, ერთად გვეყურებინა გადაცემისთვის – „საქართველოს ვარსკვლავი“, რადგან მას უნდოდა, ერთ-ერთი მონაწილისთვის დაეჭირა მხარი და აინტერესებდა ჩემი აზრი. დავსხედით, ვუყურებთ და ჩემთვის ინდიკატორი კონკურსანტების შეფასებისას გახდა „ვეფხისტყაოსანი“. ერთ-ერთმა კონკურსანტმა თქვა, რომ მას უყვარს „ვეფხისტყაოსანი“ და ჩემთვის ის ადამიანი გახდა ფავორიტი. მივხვდი, რომ ეს ადამიანი არის ღრმა, ეს ადამიანი აზროვნებს, მას აქვს ხედვა, ის არის თანამედროვე მომღერალი და მას უყვარს „ვეფხისტყაოსანი“ – ეს საკმარისია...

ვერ ამოვწურე. არ არსებობს თემა, რომელიც არ არის ვეფხისტყაოსანში. მე არ ვსაუბრობ მის მხატვრულობაზე, მე ვსაუბრობ მის შინაარსზე . ეს არის წიგნი, რომელმაც კი არ შემცვალა, მუდმივად მცვლის.

– გაკვირვებთ...

– ადამიანების მრავალსახეობა.

– ამაყობთ...

– ჩემი ქვეყნით. საქართველოთი ვამაყობ. ჩემი სამშობლოთი.

– ეძებთ...

– გზას ადამიანებისკენ.

– უსმენთ...

– ყველას.

– კითხულობთ

– სამწუხაროდ, ყველაფერს არამხატვრულს.

– დაასათაურეთ 2019 წელი...

– გზა ლაბირინთებში.

– 2020 იქნება...

– მომავლის გზა!

ინტერვიუერი
ნანუკა მიქელაძე

ახალი თანამშრომლობის დასაწყისი

28 ნოემბერს, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტს სომხეთის რესპუბლიკის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის შირაქის არმენოლოგიის კვლევითი ცენტრის დირექტორი – **არმენ ჰაირაპეტიანი** და მისი მოადგილე – **არკადი აკოფოვი** ესტუმრნენ. შეხვედრა, რომელიც გაცნობით ხასიათს ატარებდა, უნივერსიტეტის რექტორმა, ასოცირებულმა პროფესორმა **მაკა ბერიძემ** გახსნა. მან აღნიშნა, რომ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და სომხეთის რესპუბლიკის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის შირაქის არმენოლოგიის კვლევით ცენტრს შორის თანამშრომლობით სტუდენტებს სერიოზული პრერსპექტივები შეიძლება ჰქონდეთ. **უნივერსიტეტი დღევანდელ სტუმრობას განიხილავს, როგორც ორი ინსტიტუციის თანამშრომლობის სერიოზულ პერსპექტივას. მოგეხსენებათ, რომ უნივერსიტეტისთვის მნიშვნელოვანია კვლევები. მემორანდუმი, რომელიც გაფორმდება ამ ორ დაწესებულებას შორის, ითვალისწინებს ერთობლივი საგანმანათლებლო პროექტების, პროგრამების, ერთობლივი სამეცნიერო კვლევების ჩატარებას. დღეს ბატონმა არმენმა შემოგვთავაზა, რომ შეიძლება ჩვენი სტუდენტებისთვის პრაქტიკის ობიექტიც გახდეს შირაქის კვლევის ცენტრი. მადლობა მინდა მოვახსენო მათ სტუმრობისთვის.**

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და სომხეთის რესპუბლიკის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის შირაქის არმენოლოგიის კვლევითი ცენტრის თანამშრომლობის პერსპექტივაზე ისაუბრა რექტორის მოადგილემ სამეცნიერო დარგში, პროფესორმა **მერაბ ბერიძემ: სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი თუ უნდა განვითარდეს სამეცნიერო მიმართულებით ამგვარი კონტაქტების გარეშე შეუძლებელია წინსვლა. ჩვენს უნივერსიტეტში ორი დიდი კულტურა ხვდება ერთმანეთს – სომხურ-ქართული კულტურა და ამას სერიოზული შედეგი ექნება უახლოეს მომავალში, როგორც სომხური, ისე ქართული კულტურისათვის. დღეს ამ ყველაფერს გარკვეული საფუძვლები ეყრება, რაც მისასალმებელია.**

განათლების, ჰუმანიტარული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანმა, ასოცირებულმა პროფესორმა **გულიკო ბექაურმა** აღნიშნა, რომ მსგავსი შეხვედრები არის თანამედროვე ცხოვრების, თანამედროვე საგანმანათლებლო სივრცის ის

გამოწვევა, რომელსაც უნდა უპასუხოს ყველა ქვეყანამ. **როდესაც სამეცნიერო საქმის კეთებას იწყებ, დიდი საფუძველი სწორედ მეგობრობა გახლავთ. ეს კიდევ უფრო მეტად აძლიერებს იმ მუხტს, რაც ადამიანებს შეაძლებინებს კარგი საქმის კეთებას. კვლევითი საქმიანობა არის ჩვენი დღევანდელი სამყაროს ნაწილი. ერთად ყოფნით კვლევებს ისეთი შედეგები ექნება, რომელიც წაადგება საზოგადოების განვითარებას, რომელიც ხელს შეუწყობს საგანმანათლებლო სივრცის კეთილდღეობას.**

პროფესორმა **როინ ყავრელიშვილმა** გაიხსენა ის პირველი ნაბიჯები, რომლებიც სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ გადაიდგა რეგიონული ურთიერთობების დასამყარებლად. **თანამშრომლობა, აზრების გაზიარება მნიშვნელოვანია, რადგან შეგიძლია ადამიანები უშუალოდ გაიცნო, გაუზიარო შენი აზრი და გააკეთო დასკვნა.** – აღნიშნა მან. – **უნივერსიტეტმა პირველი ნაბიჯები 1999 წელს გადადგა რეგიონულ ურთიერთობებთან დაკავშირებით. მოგეხსენებათ, დღეს როგორ მაღალ დონეზე ავიდა ეს ურთიერთობები. დღეს ვიწყებთ თანამშრომლობას მეზობლებთან, მეგობრებთან. იმედი მაქვს, რომ დღეს საფუძველი ჩაეყრება საინტერესო თანამშრომლობას.**

სომხეთის რესპუბლიკის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის შირაქის არმენოლოგიის კვლევითი ცენტრის დირექტორმა, პროფესორმა **არმენ ჰაირაპეტიანმა** აღნიშნა, რომ შირაქის კვლევის ცენტრი წარმოადგენს სომხეთის მეცნიერებათა აკადემიის ნაწილს, ინსტიტუციას. მისივე განმარტებით, კვლევითი ცენტრის ორგანიზებით, ჩატარდა არაერთი სამეცნიერო ფორუმი და სიმპოზიუმი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მრავალი ქვეყნის წარმომადგენლებმა. **რადგან ჩვენი კვლევითი ცენტრი წარმოადგენს რეგიონულ ცენტრს, აქედან გამომდინარე, სურვილი გვაქვს, დავამყაროთ ახალი ურთიერთობები ჩვენს მეზობლებთან. ამიტომ, მეტად მნიშვნეოვანია მემორანდუმის გაფორმება სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტთან.** – აღნიშნა ბატონმა არმენმა და დამსწრე საზოგადოებას შირაქის არმენოლოგიის კვლევითი ცენტრის სტრუქტურაზე, საგანმანათლებლო პროგრამებზე და საქმიანობაზე ესაუბრა.

იმედი მაქვს, რომ ჩვენი თანამშრომლობა მომავალში დიდ წარმატებას მიაღწევს. ვფიქრობ, საზოგადოებას სჭირდება ასეთი ურთიერთობები, რათა უკეთესად გავიცნოთ ერთმანეთი, ვითანამშრომლოთ და ერთად ბევრი კარგი საქმე გავაკეთოთ. – აღნიშნა შირაქის არმენოლოგიის კვლევითი ცენტრის დირექტორის მოადგილემ **არკადი აკოფოვმა**.

შეხვედრაზე ამ ორ სამეცნიერო-საგანმანათლებლო დაწესებულებას შორის გაფორმებული მემორანდუმის მნიშვნელობაზე მოსაზრებები გამოთქვეს სტუდენტებმა. **მივესალმებით იმ ფაქტს, რომ თანამშრომლობა ჩვენს თანატოლ სტუდენტებთან გვექნება, გავიცნობთ ერთმანეთს უფრო კარგად, გავუზიარებთ გამოცდილებას, ვიმუშავებთ ერთობლივ კვლევებზე. მადლობა ორივე მხარეს ამ თანამშრომლობის დაწყებისთვის.** – აღნიშნა სამაგისტრო პროგრამის სტუდენტმა **ჯულიეტა ელბაქიანმა.**

შეხვედრა დასრულდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმებით.

„თანასწორობა ნიშნავს, ყველას ჰქონდეს შესაძლებლობა, ჩაერთოს ქვეყნის მანვითარებაში“

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მესამე კორპუსს ახალქალაქში, 5 ნოემბერს, საქართველოს სახელმწიფო მინისტრი, შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში – **ქეთევან ციხელაშვილი**, მისი მოადგილე **ლია გიგაური** და სამინისტროს სხვა წარმომადგენლები ესტუმრნენ. სტუმრობის მიზანს ახალგაზრდებთან შეხვედრა და მათთვის მნიშვნელოვან საკითხებზე მსჯელობა გახლდათ. ღონისძიებას ესწრებოდა სამცხე-ჯავახეთის მხარის რწმუნებული **ბესიკ ამირანაშვილი** და წარმომადგენლები სამხარეო ადმინისტრაციიდან.

მობრძანებულ სტუმრებს მიესალმა სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, ასოცირებული პროფესორი მაკა **ბერიძე: დღეს უნივერსიტეტისთვის მნიშვნელოვანი დღეა. მადლობა მინდა მოვახსენო სტუმრებს მობრძანებისთვის. უნივერსიტეტს აქვს ამბიციური განაცხადი განვითარებაზე. ჩვენი უნივერსიტეტი არის უნივერსიტეტი, სადაც ინტეგრაცია არის ცხოვრების წესი. შედეგი ამ უნივერსიტეტის არსებობის გახლავთ ის, რომ ჩვენ და იმ ახალგაზრდობას, რომლებიც ჩვენს შეხვედრას ესწრებიან, შუამავალი ენა და თარჯიმანი არ გვჭირდება. ჩვენ ერთმანეთის გვესმის.**

დამსწრე საზოგადოებას საქართველოს სახელმწიფო მინისტრი, ქეთევან ციხელაშვილი მიესალმა. აღნიშნა, რომ სამინისტროს სახელწოდებაში არის მნიშვნელოვანი სიტყვა – თანასწორობა. ასევე, სამინისტრო მუშაობს კონფლიქტების მშვიდობიანი გზით მოგვარებასა და სამოქალაქო ინტეგრაციაზე. **სიტყვა – „თანასწორობა“, გამოხატავს მთელ ხედვას, სახელმწიფოს დამოკიდებულებას მოქალაქეების მიმართ, განურჩევლად ჩვენი ეთნიკური თუ რელიგიური წარმომადგენლობისა. ამ გზაზე ბევრი გამოწვევაა. თანასწორობა ნიშნავს იმას, რომ ყველას ჰქონდეს შესაძლებლობა, თანაბრად ჩაერთოს ქვეყნის ცხოვრების ყველა სფეროში.**

ქალბატონმა ქეთევანმა აღნიშნა, რომ ჩართულობა იწყება ინფორმირებით. დღეს გვინდა მივაწოდოთ ინფორმაცია იმ ხალხსს, ვისაც აინტერესებს, რა შეიძლება გააკეთოს, რითი შეიძლება ისარგებლოს, როგორ შეიძლება ჩაერთოს ქვეყნის ცხოვრების ყველა სფეროში. არცერთი ადამნიანური რესურსი არ გვყავს დასაკარგი.

მინისტრმა ისაუბრა 1 პლიუს 4 პროგრამის სტუდენტების სტაჟირების პროგრამის თაობაზე: **მოტივირებული ახალგაზრდები ხართ და თაობა ხართ განსხვავებული, განსაკუთრებით, ეთნიკური სხვადასხვა ჯგუფის წარმომადგენლებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში. გვინდოდა, ამ ახალგაზრდებისთვის მიგვეცა განსაკუთრებული შესაძლებლობა, რომ ყველა სახელმწიფოს სტრუქტურაში შესულიყვნენ, მიეღოთ გამოცდილება, გადადგან პირველი ნაბიჯები კარიერაში.**

ქალბატონმა ქეთევანმა სახელმწიფო ენის შესწავლის აუცილებლობაზე გაამახვილა ყურადღება. **სახელმწიფო ენის ცოდნა, უპირველესად, კომუნიკაციის ინსტრუმენტია. არის წვდომა ყველა ინფორმაციაზე. გვინდა, რომ ყველა მოქალაქე იყოს ჩართული ეკონომიკურ და სოციალურ ცხოვრებაში, გვინდა, რომ კულტურული მრავალფეროვნება იქნას დაცული. ასევე, მნიშვნელოვანია განათლება და სახელმწიფო ენის ცოდნა. განათლება არის ყველაზე სწორი ინვესტიცია ქვეყნის მომავლისა და განვითარების.**

მინისტრმა განაცხადა, რომ ქვეყანას, რომელიც თანაბრად არის ყველასი, აქვს მყარი ტრადიცია – სხვადასხვა რელიგიის, ეთნიკური წარმომავლობის, კულტურის მატარებელი ადამიანები ცხოვრობდნენ ერთად და მშვიდობიანად.

სტუდენტთა მხრიდან არაერთმა საინტერესო კითხვამ გაიჟღერა, რომელზეც არა მხოლოდ ქალბატონმა ქეთევანმა, არამედ ლია გიგაურმა, ბესიკ ამირანაშვილმა და უნივერსიტეტის რექტორმა უპასუხეს. ბევრი საინტერესო საკითხის განხილვის შემდგომ, სტუმრები უნივერსიტეტის წარმომადგენლებს და ახალგაზრდებს დაემშვიდობნენ.

გვერდი მომზადა
ლიკა ზაზაშვილმა

დამტკიცდა უნივერსიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის პროექტი

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში, 11 დეკემბერს, გაიმართა წარმომადგენლობითი საბჭოს გაფართოებული სხდომა, რომელსაც აკადემიური საბჭოს წევრები, პროფესორ-მასწავლებლები, სტუდენტები და ადმინისტრაციული სამსახურების უფროსები დაესწრნენ. ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, პროფესორმა **როინ თათეშვილმა** წარმოადგინა 2019 წლის ანგარიში ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობის შესახებ. მან ყურადღება გაამახვილა ძირითად აქტივობებზე, რომლებიც შეეხებოდა სწავლა/სწავლებისა და კვლევების ერთობლივ პროცესს, ასევე, პროფესორ-მასწავლებელთა სამეცნიერო ნაშრომების თანადაფინანსებას, სამეცნიერო კონფერენციებისა და ექსპედიციების დაფინანსებას. უნივერსიტეტისთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო კვლევითი ლაბორატორიის სრულად აღჭურვა, ვეტერინარიის კლინიკის პროექტის მომზადება და სარემონტო სამუშაოების დაწყება, რაც ხელს შეუწყობს არა მხოლოდ სწავლებისა და კვლევების საქმიანობას, არამედ კომერციალიზაციას და ბიუჯეტში დამატებითი სახსრების აკუმულირებას.

ბატონმა როინმა სხდომის მონაწილეთ მოახსენა, რომ 2019 წელს ბიუჯეტით გათვალისწინებული ყველა აქტივობა შესრულდა. ამჟამად მიმდინარეობს ლიფტების მონტაჟი, რომელიც რამდენიმე დღეში დასრულდება. თანამშრომელთა სტიმულირებისათვის გაიცა პრემიები. განხორციელდა შრომის ანაზღაურების 10%-იანი ზრდა. სამუშაოების შესრულების შესახებ დეტალური ანგარიში კი 2020 წლის პირველ კვარტალში იქნება წარმოდგენილი.

ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა სხდომაზე ძირითად საკითხად წარმოადგინა 2020 წლის ბიუჯეტის პროექტი. მასში გათვალისწინებულია ყველა ის ხარჯი, რომელიც უნივერსიტეტის სტრატეგიული გეგმიდან არის გამომდინარე. განისაზღვრა ძირითადი პრიორიტეტები. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა სწავლა/სწავლებისა და კვლევების ხელშეწყობას, რაც მოიცავს წიგნადი ფონდების განახლებასა და გაციფრულებას, კონფერენციების, ექსპედიციებისა და კვლევების დაფინანსებას; ინტერნაციონალიზაციის გაძლიერების კუთხით საერთაშორისო კონფერენციების მოწყობას; უცხოეთში კვლევების გამოქვეყნების თანადაფინანსებას; აკადემიური პერსონალის უცხოეთში სიმპოზიუმებზე, კონფერენციებზე სამივლინებო ხარჯებს.

მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების ნიზნით, ბიუჯეტში მოიაზრება უნივერსიტეტის პირველი კორპუსის გათბობის შიდა სისტემის რეაბილიტაცია და ფანჯრების შეცვლა. ასევე, გათვალისწინებულია შეზღუდული შესაძლებლობების პირთათვის დამატებითი პირობის შექმნა, რაც ხელს შეუწყობს უნივერსიტეტში მათ შეუფერხებელ გადაადგილებას.

ბიუჯეტის დაფინანსებით 2597741 ლარის ფარგლებში ახალქალაქში ჩატარდება მე-4 კორპუსის სრული რეაბილიტაცია, სადაც განხორციელდება პროფესიული პროგრამები.

2020 წლის ბიუჯეტმა, ფინანსური რესურსების ფარგლებში, ფაქტობრივად, მოიცვა ყველა მიმართულება. ბიუჯეტის პროექტის მომზადებაში ჩართული იყო სტუდენტური თვითმმართველობა. სტუდენტებმა წარმოადგინეს 2020 წლისთვის დაგეგმილი აქტივობები, რომლებიც მაქსიმალურადაა გათვალისწინებული ბიუჯეტში. გარდა იმისა, რომ 2019 წელს განხორციელდა უნივერსიტეტის თანამშრომელთა ხელფასების მატება 10 პროცენტით, 2020 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებულია თანამშრომელთა ჯანმრთელობის კორპორატიული დაზღვევის 50 პროცენტიანი თანადაფინანსება.

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის პროექტი წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე ერთხმად იქნა დამტკიცებული.

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2020 წლის ბიუჯეტი

სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, პროფესორი
რ. თათეშვილი

სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს თავმჯდომარე, პროფესორი
ლ. ჩიგურდანიძე

სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი	2019 წელი
შემოსავლები	**4 958 450,00**
ნაშთი პერიოდის დასაწყისში	**1 578 200,0**
სწავლის საფასური	**3 300 250,0**
სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული პროგრამული დაფინანსება	**0,00**
მ.შ. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ხელშეწყობა	0,00
მ.შ. სახელმწიფო სტიპენდიები სტუდენტებს	0,00
მ.შ. გრიგოლ ხანძთელის სახ. სტიპენდია	0,00
მოდულური საგანმანათლებლო პროფესიული პროგრამის განხორციელება	0
ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრები	**0,00**
სამეცნიერო-კვლევითი გრანტები	**0,0**
კანონმდებლობით ნებადართული შემოსავლები	**80 000,0**
საერთაშორისო ირგანიზაციიდან მიღებული გრანტი	0,0
2 სხვა შემოსავლები	80 000,0
3	
4	
n	
სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი	
სულ ასიგნება	**4779569,00**
შტატით გათვალისწინებულ მომუშავეთა რიცხოვნობა	202
შტატგარეშე მომუშავეთა რიცხოვნობა	122

სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი	
ხარჯები	**4 325 769,0**
შრომის ანაზღაურება	2 532 019
საქონელი და მომსახურება	1 428 100,0
გრანტები	0
სოციალური უზრუნველყოფა	20 000
სხვა ხარჯები	345 650
არაფინანსური აქტივების ზრდა	**453 800,00**
ვალდებულებების კლება	**0**
ნაშთი პერიოდის ბოლოს	**178 881**
სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის და აკადემიური პერსონალის ხარჯები	
სულ ასიგნება	**4 779 569,0**
შტატით გათვალისწინებულ მომუშავეთა რიცხოვნობა	202
შტატგარეშე მომუშავეთა რიცხოვნობა	122
ხარჯები	**4 325 769,0**
შრომის ანაზღაურება	2 532 019,0
საქონელი და მომსახურება	1 428 100,0
გრანტები	
სოციალური უზრუნველყოფა	20 000,0
სხვა ხარჯები	345 650,0
არაფინანსური აქტივების ზრდა	**453 800,0**
ვალდებულებების კლება	**0,0**
ნაშთი წლის ბოლოს	**178 881,0**

● **2-3 ნოემბერს,** Erasmus+. CURE (Curricular Reform Democratic Principles and Civic Education in teacher- training programs in Israel and in Georgia) პროექტის ფარგლებში, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტმა, როგორც პარტნიორმა, უმასპინძლა მე-6 ეროვნულ შეხვედრას. შეხვედრას ესწრებოდნენ ილიაუნის, თსუ-ს, ბათუმის, ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტებისა და სამოქალაქო განათლების ინსტიტუტის წარმომადგენლები. შეხვედრის მიზანი იყო პროექტის წარმატებული რეპორტინგისთვის მოსამზადებელი თემატური და ფინანსური საკითხების შეჯერება.

● **13 ნოემბერს,** საქართველოს თავდაცვის სამინისტროს პირველი ქვეითი ბრიგადის ხელმძღვანელობამ მადლობის სიგელით დააჯილდოვა სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორები: **მერაბ ბერიძე** და **როინ ყავრელიშვილი. „თქვენი პროფესიონალიზმი, მხარდაჭერა და განსაკუთრებული მონაწილეობა პირველი ქვეითი ბატალიონის ჯარისკაცთა საბრძოლო სულისკვეთების ამაღლებაში არის ფასდაუდებელი, ხოლო თქვენი როლი სამცხე-ჯავახეთის რეგიონის განვითარების გზაზე მისაბაძია ახალგაზრდა თაობებისთვის. უღრმესი მადლობა“.** ასეთია მადლობის სიგელის ტექსტი, რომელიც გადაეცათ პროფესორებს, ხოლო უნივერსიტეტის რექტორს ქალბატონ **მაკა ბერიძეს** გადაეცა ერთ-ერთი ჯარისკაცის ხელნაკეთი სუვენირი.

ინფორმაცია

● **20 ნოემბერს,** პავლე ზაზაძის სახელობის საკონფერენციო დარბაზში უნივერსიტეტის სტუდენტებისათვის გაიმართა საინფორმაციო შეხვედრა, რომელიც მიეძღვნა ევროპის საბჭოსა და პარტნიორი უწყებების მიერ დაგეგმილ თანასწორობის კვირეულს. ღონისძიება მიმდინარეობდა **კამპანია „მე ვირჩევ თანასწორობას“** ფარგლებში.

თანასწორობის კვირეულის მიზანია ტოლერანტობის განმტკიცება თანასწორობისა და მრავალფეროვნების მნიშვნელობის შესახებ ცნობიერების ამაღლების გზით და სხვადასხვა ჯგუფის ინფორმირება დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის სამართლებრივი მექანიზმების თაობაზე.

შეხვედრა გახსნა, სტუმრებსა და აუდიტორიას მიესალმა უნივერსიტეტის რექტორი მაკა ბერიძე და ნაყოფიერი მუშაობა უსურვა მათ.

აღნიშნული კვირეულის ფარგლებში შეხვედრაში მონაწილეობა მიიღეს სახალხო დამცველის წარმომადგენელმა სამცხე-ჯავახეთში სალომე ყულჯანიშვილმა.

ინფორმაცია კვირეულისა და კამპანიის შესახებ წარმოადგინა ევროპის საბჭოს საქართველოს ოფისის წარმომადგენელმა ნინო გობრონიძემ.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დეპარტამენტიდან – დეპარტამენტისა და თანასწორობასთან დაკავშირებული საქმეების შესახებ ისაუბრა თამარ მჭედლიშვილმა.

საქართველოს პარლამენტიდან შეხვედრაში მონაწილეობას იღებდა მარიამ ჯაჯანიძე, რომელიც აუდიტორიას ესაუბრა პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოს შესახებ.

სახალხო დამცველის აპარატიდან – ინფორმაცია სახალხო დამცველის, ანტიდისკრიმინაციული მექანიზმის შესახებ წარმოადგინა ანა კვაჭაძემ; ხოლო იუსტიციის სამინისტროდან – ინფორმაცია იუსტიციის სასწავლო ცენტრის შესახებ სტუდენტებს გააცნო ანა ვაშალომიძემ.

შეხვედრისას დაინტერესებულ პირებს მიეწოდათ, აგრეთვე, ინფორმაცია აღნიშნული ორგანიზაციების მანდატისა და საქმიანობის შესახებ თანასწორობის მიმართულებით. დასასრულის პრობლემურ საკითხებზე გაიმართა საინტერესო დისკუსია.

ინფორმაციები უნივერსიტეტის facebook-ის გვერდიდან

გვესაუბრება სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე სამეცნიერო მიმართულებით, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი მერაბ ბერიძე.

კვლევისა და სწავლების ერთიანობა – საუნივერსიტეტო ცხოვრების პრინციპი

– ბატონო მერაბ, საუბარი მინდა დავიწყოთ საერთაშორისო სიმპოზიუმით, რომელიც თურქეთის დედაქალაქ ანკარაში ჩატარდა დეკემბრის დასაწყისში და რომლის მონაწილე თქვენ ბრძანდებოდით. რა თემატიკას მიეძღვნა სიმპოზიუმი და ვინ მონაწილეობდნენ მასში?

– მესამე საერთაშორისო სიმპოზიუმი, რომელიც ანკარაში ჩატარდა დეკემბრის დასაწყისში, მიეძღვნა ქართულ-თურქულ ურთიერთობებს. ჯერ კიდევ 2016 წელს ჩაეყარა საფუძველი ამ ურთიერთობებს, როდესაც გაიმართა სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის, თურქეთის საისტორიო საზოგადოებისა და კავკასიის უნივერსიტეტების ასოციაციის ერთობლივი საერთაშორისო სამეცნიერო სემინარი ახალციხეში. ასე რომ, საისტორიო საზოგადოებისა და ქართველ მეცნიერთა შეხვედრები ჩვენ დავიწყეთ, პირველად ჩვენმა უნივერსიტეტმა უმასპინძლა. საისტორიო საზოგადოების თავმჯდომარე უკვე ძალიან გაშინაურებული ადამიანია და ი მთელი გულისყურით ეკიდება ამ ტიპის შეხვედრებს, რომელიც ბევრად ფართო ხასიათისა და ფართო მასშტაბის გახლავთ.

ანკარის სიმპოზიუმში ჩვენი უნივერსიტეტიდან მონაწილეობდნენ პროფესორები: როინ ყავრელიშვილი, რომან გოგოლაური, ვასილ მოსიაშვილი და, ასევე, გახლდით მე. ჩვენ გარდა, მასში მონაწილეობდნენ სოხუმის, გორისა და ქუთაისის უნივერსიტეტები.

თემატიკა საქართველოსა და თურქეთის ისტორიის უახლეს პერიოდს მოიცავდა, ძირითადად. რა თქმა უნდა, იყო განსხვავებული შეხედულებები, მაგრამ მთავარია, რომ ჩვენ განსხვავებული აზრის დაფიქსირების საშუალება გვაქვს ასეთ შეხვედრებზე. შემდეგ აუცილებლად გამოვა კრებული სტატიებისა ქართულ, თურქულ და ინგლისურ ენაზე.

– კიდევ ერთ სასწავლო წელს აცილებს უნივერსიტეტი. რა იყო მნიშვნელოვანი გაწეულ შრომაში სამეცნიერო მიმართულებით, რომელსაც თქვენ ხელმძღვანელობთ?

– ტრადიციულად, მნიშვნელოვანი იყო კონფერენციები. ჩატარდა საფაკულტეტო, საუნივერსიტეტო და რესპუბლიკური კონფერენციები. ამასთან, ბევრმა ჩვენმა მეცნიერმა მიიღო მონაწილეობა უცხოეთში სამეცნიერო ფორუმებში. წლევანდელი წელი მაინც იმით განსხვავდება, რომ ამუშავდა აკადემიური საბჭოს მიერ მიღებული დადგენილება – ყველა პროფესორმა ორ წელიწადში ერთი სტატია მაინც აუცილებლად უნდა დაბეჭდოს

უცხოურ გამოცემაში, იმპაკტ ფაქტორიან ჟურნალში, ბუნებრივია, სხვა ენაზე. ამან სერიოზული სტიმული მისცა ჩვენს პროფესურას და ბევრმა უკვე გამოაქვეყნა სტატია უცხოეთში.

– რამდენადაც ცნობილია, უცხო ჟურნალში სტატიის გამოქვეყნება თანხასთან არის დაკავშირებული. ეს ხომ არ იქნება შემაფერხებელი სტატიის დაბეჭდვით დაინტერესებული მეცნიერებისთვის?

– თუ ეს გამოცემები ითხოვს გადასახადს, ამ ფულს უნივერსიტეტი იხდის. ამას უნივერსიტეტი აკეთებს დღეს.

– ერთ-ერთ ინტერვიუში (ეს იყო დიდიხნის წინ), რომელიც თქვენთან ჩავწერე, ბრძანეთ, რომ უნივერსიტეტს ძალიან დიდი პოტენციალი გააჩნია სამეცნიერო მუშაობისა, იმდენად დიდი რესურსი, რომ უფრო მეტი პროდუქტიულობის მიღწევა შეგვიძლიაო. თუ შეაფასებთ დღევანდელ ვითარებას, არის ისე, როგორც გსურდათ, როგორც ელოდით და თუ არა, რატომ?

– ძალიან საინტერესო რამ გამახსენეთ. რესურსი, მართლაც, საოცრად დიდი ჰქონდა ჩვენს უნივერსიტეტს 90-იან წლებში. ყველას ვერ გავიხსენებ, მაგრამ წარმოიდგინეთ, მარტო ჰუმანიტარებთან – ვალერი სილოგავა, ოთარ ღამბაშიძე, სერგო მელიქიძე, კოტე კაკიტაძე, ვასილ კუზიბაბაშვილი... ეს დიდი ძალა იყო. ეს ხალხი წავიდა... მოვიდა ცვლა, ჩვენი გაზრდილები, უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები. როდესაც ვსაუბრობდი, სწორედ იმ პოტენციალზე ვსაუბრობდი. მოგეხსენებათ, პოტენციალი ყოველთვის ვერ რეალიზდება. ასევე შეიძლება ითქვას სხვა მიმართულებითაც, იქნება ეს ეკონომიკის, ასტრონომიის თუ სხვა მიმართულება.

რთული პერიოდის გადალახვა მოგვიწია იმიტომ, რომ ჩვენ ვიყავით უნივერსიტეტი, როდესაც ფილიალი ვიყავით. ფილიალობის შემდეგ იყო ინსტიტუტი, შემდეგ სასწავლო უნივერსიტეტი. ეს იმას ნიშნავს, რომ რეალური უნივერსიტეტი იყო ფილიალობის დროს და 2014 წლის შემდეგ, როდესაც სახელმწიფო უნივერსიტეტი გავხდით. ეს ნიშნავს კიდევ იმას, რომ მეცნიერების გარეშე უნივერსიტეტი არ არსებობს. მეცნიერება კიდევ იმისთვის არსებობს, რომ იქ მიღწეული შედეგები შემდეგ გამოიყენოს პროფესორმა სტუდენტებთან. ესაა კვლევისა და სწავლების ერთიანობა. ეს პრინციპია საუნივერსიტეტო ცხოვრებისა და ჩვენც ამ გზას ვადგავართ დღეს.

მე ვფიქრობ, პატარა რყევების პერიოდში ვართ ახლა მაინც იმიტომ, რომ ჩვენი სადოქტორო პროგრამები სერიოზულ ძალად უნდა იქცეს. ახლო მომავალში, როგორც რექტორი ფიქრობს, დარწმუნებული ვარ, შეიქმნება სადოქტორო სკოლა, სადაც გაერთიანდება ყველა სადოქტორო საბჭო. ეს უკვე სხვაგვარი დამოკიდებულება იქნება, საერთოდ. ჩვენ უკვე გვქონდა სადოქტორო ნაშრომების საბჭო, რომელსაც მე ვხელმძღვანელობდი. შედგა სამი სადოქტორო ნაშრომის დაცვა.

– რატომ არ იყო უფრო მეტი ნაშრომის დაცვა?

– მიზეზი ბევრია. გამოუცდელობა, სიახლე, პრობლემის აქტუალურობა, საერთოდ, ნიჰილისტური დამოკიდებულება გარემოსი. ბევრს, მაგალითად, მოსწონს სასწავლო უნივერსიტეტობა, ნაკლებად თავშისაცემია. მოიყვან ბავშვებს, ჩაუტარებ ლექციას და წახვალ სახლში. შეიძლება, ვიღაცა უფრო კომფორტულად გრძნობს თავს. შეიძლება ნიშა მოძებნოს უნივერსიტეტმა სასწავლო მიმართულებით, მაგრამ მთავარია, ნიშა მოიძებნოს მეცნიერებაში, რომ ჩვენ დაგვაფასონ, რომ მეცნიერების რომელიმე დარგში ჩვენთან სპეციალურად მოვიდეს ახალგაზრდა, სადოქტორო თემა რომ გააკეთოს. ეს არის მთავარი და აქეთკენ მივდივართ ჩვენ. არის ბევრი პრობლემა ამ კუთხით. მინდა ახლა მივულოცო უნივერსიტეტს – ეკონომიკის სადოქტორო პროგრამა, რომელმაც გაიარა აკრედიტაცია. ძალიან მნიშვნელოვანი იყო ჩვენთვის ამის გაკეთება.

– პრობლემებზე თუ ვისაუბრებთ, ბატონო მერაბ, რა საკითხს წამოწევდით წინ?

– მეცნიერება დაფასებული უნდა იყოს ქვეყანაში. ხელფასი ყველას მაღალი უნდა ჰქონდეს, მაგრამ გამორჩეულად მაღალი ანაზღაურება უნდა ჰქონდეს მეცნიერს, თუ გინდა, რომ ქვეყანა წინ წავიდეს. პროფესორი არ უნდა გარბოდეს ხუთ უნივერსიტეტში ლექციების ჩასატარებლად, რომ ოჯახი არჩინოს. ეს არ უნდა გვჭირდებოდეს. ეს არის უმთავრესი. მომზდველი უნდა იყოს სტუდენტებისათვის სამეცნიერო საქმიანობა. როდესაც ხედავენ, რომ ამ წვალების ფონზე რა ხელფასი აქვს მის პროფესორს, მათ ყველა იმედი უქარწყლდებათ. ვცდილობთ, სტუდენტებში მაინც მეცნიერების პოპულარიზაცია, მისი რეკლამა რომ მოხერხდეს. ასეა თუ ისე, ცხოვრების სახსარი მაინც აქვს პროფესორს იმდენი, რომ მშიერი არ იყოს.

უნდა იყოს საიმისო პირობები, ადამიანი 9 საათზე რომ მოვა, დაჯდეს, ვთქვათ, 6 საათამდე, იმუშაოს უნივერსიტეტში. მერე ნახავთ, როგორი წიგნები დაიდება, როგორი პროდუქცია შეიქმნება.

– 2020 წელს უნივერსიტეტის დაარსებიდან 30 წელი სრულდება. ამ თარიღთან დაკავშირებით ხომ არ არის განსაკუთრებული ჩანაფიქრი სამეცნიერო მიმართულებით?

– დიახ, არის ზოგიერთი სერიოზული კონფერენციის ჩატარების, შეხვედრების მოწყობის ჩანაფიქრი, მაგრამ როდესაც დამტკიცდება საბოლოოდ ეს გეგმა, ალბათ, მაშინ სჯობს ამაზე საუბარი. დიდი სურვილი აქვს რექტორსაც და ყველას, რომ ღირსეულად აღინიშნოს იუბილე.

– მინდა, მოგილოცოთ დამდეგი შობა-ახალ წელი, ბატონო მერაბ და თქვენგან მოვისმინო საახალწლო სურვილები.

– ჩემი სურვილია, ღიმილიანი, იმედიანი ახალგაზრდობა გვყავდეს, ერთმანეთის მოსიყვარულე, თავისი ქვეყნის მოსიყვარულე, სამშობლოს მოსიყვარულე. მომავალი ნელი სიხარულისა და ბედნიერების მომტანი იყოს ჩვენი ახალგაზრდობისათვის.

ინტერვიუერი
მარინე ზედელაშვილი

ჯგუფურ-ანალიზი ფსიქოლოგიის საგანში

დაწყებითი განათლების მე-4 კურსის სტუდენტებმა ფსიქოლოგიის საგნის შემაჯამებელ ლექციაზე პრეზენტაციები წარადგინეს. თემაზე **– „პროფესიონალი მასწავლებლის მახასიათებლები“,** იმსჯელეს, კითხვებს უპასუხეს და აღნიშნეს, რომ სკოლაში მასწავლებლად მუშაობისას, ფსიქოლოგიის ლექციაზე სამი წლის განმავლობაში მიღებული ცოდნა აუცილებლად გამოადგებათ.

ჩვენი დაინტერესება სტუდენტთა მიერ პრეზენტაციების წარდგენის გარდა, მდგომარეობს შემდეგშიც: ჯგუფში სწავლობენ ქართველი, სომეხი და აზერბაიჯანელი ეროვნების სტუდენტები. დამოკიდებულება, რომელიც ერთმანეთის მიმართ იგრძნობა, პირდაპირ პასუხობს უნივერსიტეტის მთავარი ღირებულებას – ტოლერანტობას.

სტუდენტებმა სამი წლის განმავლობაში ზოგადი, ასაკობრივი და განათლების ფსიქოლოგია შეისწავლეს. მინდა აღვნიშნო, რომ ეს არის საინტერესო ჯგუფი თავინთი კულტურით, დამოკიდებულებით, ურთიერთობებით. მჭირდებოდა სემინარის ინტერპრეტაცია იმ კუთხით, რომ მიმეწოდებინა სხვა ეროვნების სტუდენტებისთვის ინფორმაცია, რათა დავალება კარგად გაეგოთ. ვახდენდი ჩემ მიერ შედგენილი ტესტების მოდიფიცირებას, ვარგებდი მათ შესაძლებლობებს. ამიტომ, სამუშაო იყო ძალიან საინტერესო. – გვითხრა ფსქოლოგიის ლექტორმა, ასოცირებულმა პროფესორმა გულიკო ბექაურმა.

როგორც სტუდენტებმა ქალბატონ გულიკოს უთხრეს, პრაქტიკაზე ყოფნის დროს, მოსწავლეებთან კომუნიკაცია გაუჭირდათ. ამიტომ, განათლების ფსიქოლოგიის სწავლების ბოლოს, საპრეზენტაციოდ შეირჩა ზემოაღნიშნული თემა. **ვფიქრობ, სტუდენტებმა განსაკუთრებით განათლების ფსიქოლოგიისადმი გამოიჩინეს მეტი ყურადღება იმიტომ, რომ უკვე პრაქტიკაზე არიან სკოლებში. ფაქტობრივად, მათ არ ჰქონიათ შეხება ფსიქოლოგიასთან, არ ჰყავდათ სკოლაში ფსიქოლოგი. ამიტომ, ინტერესი იყო დიდი.** – თქვა ქალბატონმა გულიკომ.

ქადირ ბილალოვმა იცის ქართული ენა. სურს, სკოლაში მასწავლებლად იმუშაოს. **ჩვენ ვისწავლეთ ადამიანების ფსიქოლოგია. მინდა, რომ უნივერსიტეტის დამთავრების მერე საქართველოში ვიმუშაო და ქართული ენა უფრო განვამტკიცო. შემდეგ, ჩემს ქვეყანაში მასწავლებლად ვიმუშაო. რაც შეეხება ფსიქოლოგიის საგანს, ეს ცოდნა ნებისმიერ სამსახურში გამომადგება. ქალბატონი გულიკო მკაცრი იყო ლექციებზე, ამიტომ ვიყავით ყოველთვის მზად.**

ხატია სისაურმა შემაჯამებელ ლექციაზე, მასწავლებლის ცხრა მახასიათებლიდან **„გავლენის სფეროს გაფართოებაზე“** გაამახვილა ყურადღება. **ვფიქრობ, ნებისმიერი მახასიათებელი მნიშვნელოვანია, მაგრამ მე ეს გამოვკვეთე. აუცილებელია, მასწავლებელმა იცოდეს, როგორ მოახდინოს გავლენა კლასზე, თუნდაც სკოლაზე. ჩემი აზრით, ასეთი პრეზენტაციები კარგია, რადგან როდესაც ადამიანი მუშაობს და აფიქსირებს საკუთარ აზრს, ეს უფრო კარგად რჩება გონებაში.**

ჩემი თემა იყო – „ფიქრი საკუთარ თავზე“, ერთ-ერთი მთავარი და აუცილებელი მახასიათებელი იმ კრიტერიუმებიდან, რაც მასწავლებელს უნდა გააჩნდეს. მასწავლებელმა უნდა იფიქროს საკუთარ თავზე, საკუთარ ღირებულებებზე. ეს უკეთ დაანახებს მას იმ როლს, რომელსაც ის ასრულებს. – გვითხრა აქსანა უნანიანმა.

ფერიდე ილიასოვმა „სტრესის დაძლევაზე“ ისაუბრა. **სტრესი, ადამიანის ორგანიზმზე, ფსიქიკაზე ახდენს გავლენას. დღევანდელი მოსწავლეები ძალიან აქტიურები, მოძრაველები და ნიჭიერები არიან. ამიტომ, მასწავლებელი უნდა იყოს ყველაფრისთვის მზად.**

ვამთავრებთ ლექციებს ამ ჯგუფთან, ვგრძნობ, რომ ემოციურად დავიტვირთე. – აღნიშნა გულიკო ბექაურმა. გული სწყდებათ სტუდენტებსაც, მაგრამ ამბობენ, რომ მათ ფსიქოლგიის დიდი ცოდნა მიაქვთ.

ლიკა ზაზაშვილი

ქართველოლოგიური კვლევები საზღვარგარეთ

ნესტან სულავა
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

მეცნიერული ქართველოლოგიის, ანუ ქართველთმცოდნეობის (ეს ტერმინი პირველად ექვთიმე თაყაიშვილმა გამოიყენა), საწყისები ჯერ კიდევ იმ ხელნაწერ წიგნებშია საძიებელი, რომლებიც X საუკუნიდან მოყოლებული იქმნებოდა საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ არსებულ ქართულ სამონასტრო და კულტურულ-საგანმანათლებლო კერებში. ქართული კულტურის შესწავლა დასავლეთის ქვეყნებში XVII-XVIII საუკუნეებიდან იღებს ფართო ხასიათს. უცხოელთათვის განსაკუთრებით საინტერესო კვლევის ობიექტად იქცა ქართული ენა, როგორც მსოფლიოს ერთ-ერთი უძველესი ენა, ქართული ლიტერატურა, საქართველოს ისტორია, ეთნოგრაფია, ფოლკლორი, მუსიკა და სხვ. მეცნიერული ქართველოლოგიის, ანუ ქართველთმცოდნეობის მკვლევარები საზღვარგარეთ პირობითად ორ ჯგუფად შეიძლება დაიყოს: 1. საქართველოდან წასული მეცნიერები და 2. საზღვარგარეთის ქვეყნების მეცნიერები, რომლებიც ქართველთმცოდნეობის პრობლემატიკას იკვლევენ. საგაზეთო სტატიაში ამ საკითხებზე სრულყოფილად საუბარი შეუძლებელია, მაგრამ შევეცდები ზოგადი სურათის დახატვას.

საზღვარგარეთ საუკუნეების მანძილზე თანდათანობით ჩამოყალიბდა ქართველოლოგიური პრობლემატიკის კვლევის ცენტრები, რომელთაგან ხანგრძლივი და მდიდარი ტრადიცია აქვს რამდენიმეს. მათ შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანია იტალიაში არსებული ცენტრები, რადგან ევროპელთაგან პირველად იტალიელები დაინტერესდნენ ქართული ენითა და დამწერლობით, ლიტერატურითა და კულტურით, რაც განაპირობა იტალიელი მისიონერების მოღვაწეობამ საქართველოში. კათოლიკე მისიონერებს თავიანთი მიზანი ჰქონდათ: ეს იყო ქართველთა შორის კათოლიკობის გავრცელება და ქართული ეკლესიის რომის პაპისადმი დაქვემდებარება. ამიტომ იტალიაში XVII საუკუნის I მეოთხედიდან დაიწყო ქართული წიგნების ბეჭდვა, რაშიც განსაკუთრებული წვლილი მიუძღვით ანტონიო ჯარდინას, სტეფანე პაოლონის, ფრანცისკ მარიო მაჯოს, ბერნარდო ნეაპოლელს, კრისტოფორო დე კასტელის, პიეტრო დელა ვალეს და სხვებს. პირველი ქართული წიგნი იტალიაში, რომში დაიბეჭდა; 1629 წლის 1 აგვისტოს რომის კათოლიკური სარწმუნოების გამავრცელებელი საზოგადოების, ე. წ. „პროპაგანდა ფიდეს" წევრმა აქილე ვენერიომ ხელი მოაწერა პაპ ურბან VIII-დმი მიძღვნას, რომელიც ამ საზოგადოებაში გასავრცელებლად მომზადებულ გამოცემას – ქართულ-იტალიურ ლექსიკონს დაეთმო. ეს იყო პირველი შემთხვევა შვაიგერის მიერ გამოქვეყნებული პირველი ფსალმუნის ტექსტის დაბეჭდვის შემდეგ (1608 წ.), როდესაც ქართულენოვანი ტექსტი დაიბეჭდა. ეს იყო სტეფანე პაოლინისა და ნიკიფორე ჩოლოყაშვილის (ირბახის) მიერ შედგენილი და რომში გამოცემული ქართულ-იტალიური ლექსიკონი და ლოცვა ქართული ანბანითურთ.

ამ პერიოდის წყაროები ნათლად წარმოგვიდგენენ საქართველოს პოლიტიკურ, სახელმწიფოებრივ, კულტურულ, ეთნოგრაფიულ მდგომარეობას. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს კრისტოფორო დე კასტელის მიერ შედგენილი სურათების ალბომი, რომელშიც სურათებს ახლდა განმარტებები იტალიურ ენაზე. ეს ნახატები ცოცხლად წარმოაჩენენ XVII საუკუნისდროინდელ დასავლეთ საქართველოს, კერძოდ იმერეთის, გურიის, სამეგრელოსა და აფხაზეთის ისტორიის უცნობ მასალებს. ბევრ მათგანს საქართველოს ისტორიის აღსადგენად დიდი მნიშვნელობა ენიჭება. პიეტრო დელა ვალემ რომში ჩაიტანა თავისი მოძიებული ერთ-ერთი უძველესი ქართული ხელნაწერი ქართული ოთხთავისა, რითაც საფუძველი ჩაუყარა ევროპაში ქართულ ხელნაწერთა შეკრებას.

ენათმეცნიერული აზროვნების ისტორიაში მეტად ფასეულია ლათინურ ენაზე დაწერილი ფრანცისკ მარიო მაჯოს „ქართული ენის გრამატიკა", რომელიც 1643 წელს დაიბეჭდა რომში. იტალიელმა მისიონერებმა ქართული ენის შესახებ შექმნეს სერიოზული გრამატიკული ლიტერატურა და ერთგვარად შეუწყვეს ხელი გრამატიკული მეცნიერების დანერგვასა და განვითარებას საქართველოში. აკად. არნ. ჩიქობავას სიტყვით, სანამ მარი ბროსეს გრამატიკა შეიქმნებოდა, ევროპელები მაჯოს შრომით ეცნობოდნენ ქართულ ენას. XVII საუკუნეში ბერნანდო ნეაპოლელმა ჩაიწერა ქართული ზღაპრები და სწორედ ესაა ქართული ფოლკლორული ძეგლების პირველი ჩანაწერები.

ქართველოლოგიური მუშაობა იტალიაში განსაკუთრებით მრავალმხრივი გახდა XX საუკუნის დასაწყისიდან, რასაც ხელი შეუწყო როგორც იქ მცხოვრები ქართველი ემიგრანტი მეცნიერების: მიხეილ თამარაშვილის, მიხეილ თარხნიშვილის, შალვა ბერიძის მოღვაწეობამ, იტალიელ მკვლევართა მეცნიერულმა ინტერესებმა. ამჟამად ქართველოლოგიური კვლევის ცენტრები არსებობს ვენეციისა და მილანის უნივერსიტეტებში. 1987 წელს ვენეციის უნივერსიტეტში ქართველოლოგიის კათედრა დააარსა ცნობილმა ქართველოლოგმა ლუიჯი მაგაროტომ, რომელიც იკვლევს ქართული ლიტერატურის საკითხებს, კერძოდ ქართულ რომანტიზმსა და სიმბოლიზმს; იტალიურად თარგმნის ქართველ მწერალთა თხზულებებს. მთარგმნელობით საქმიანობაში მიღწეული წარმატებისათვის 1999 წელს ლუიჯი მაგაროტოს მიანიჭეს ინგლისის ქართველოლოგიური ცენტრის მარჯორი უორდროპის სახელობის პრემია. ქართველოლოგიურ ცენტრს აქვს საკმაოდ მდიდარი ბიბლიოთეკა ქართულ ენაზე. ქართველოლოგიურ ცენტრებში ნაყოფიერად მოღვაწეობენ სხვა ქართველოლოგებიც.

XX საუკუნეში ქართველოლოგიური საქმიანობა განვითარდა გერმანიაში, სადაც მრავალმა უცხოელმა დაიწყო ქართული ენისა და ლიტერატურის, ხელოვნებისა და კულტურის ისტორიის საფუძვლიანი შესწავლა და მეცნიერული კვლევა. ზოგიერთმა მათგანმა დისერტაცია დაიცვა ქართველოლოგიის საკითხებზე და მეტად ფასეული მეცნიერული დასკვნებით გაამდიდრა ქართველთმცოდნეობა. ესენი არიან: გერჰარდტ დეეტერსი, არტურ ლაისტი, ჰუგო ჰუპერტი, გერტრუდ პეჩი, იულიუს ასფალგი და სხვები. გერმანიაში (იენა, მიუნხენი, ბერლინი, ჰალე, ოლდენბურგი, ბონი...).

საგანგებოდ უნდა გამოიყოს გერმანელი მწერლის, პუბლიცისტისა და მთარგმნელის არტურ ლაისტის (1852-1927)დამსახურება ქართული კულტურის წინაშე. ადრევე დაინტერესდა აღმოსავლური სამყაროთი, განსაკუთრებით საქართველოთი. 1881 წლიდან დაიწყო ქართული ენის შესწავლა, გაიცნო ქართველი მწერლები და საზოგადო მოღვაწეები. მეგობრობდა ილია ჭავჭავაძესთან, აკაკი წერეთელთან, იონა მეუნარგიასთან. 1884 წელს იგი ილიამ საქართველოში მოიწვია, რის შემდეგაც გერმანიაში დაბრუნებულმა გამოაქვეყნა წიგნი საქართველოზე, რომელშიც ასახული იყო საქართველოს ბუნება, ადათ-წესები, მოსახლეობა. 1887 წელს გამოსცა ქართული პოეზიის გერმანული თარგმანის ანთოლოგია. მან ილიასა და ივანე მაჩაბლის დახმარებით გერმანულ ენაზე თარგმნა „ვეფხისტყაოსანი", რომელიც გამოიცა დრეზდენსა და ლაიპციგში 1890 წელს. ლაისტი 1892 წლიდან საქართველოში დასახლდა და ცხოვრობდა, აქტიურად მონაწილეობდაიგი საქართველოს საზოგადოებრივ-კულტურულ ცხოვრებაში. თბილისში მან დააარსა გაზეთი „Kaukasische Post" და წელიწადნახევრის განმავლობაში რედაქტორობდა. 1918 წლიდან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მიჰყავდა ლექციების კურსი გერმანულ ენაში. მისი ქართულენოვანი მემკვიდრეობა და საქართველოს შესახებ შექმნილი სტატიები თავმოყრილია კრებულში, რომელსაც ავტორმა „საქართველოს გული" უწოდა.

ქართველოლოგიაში გამორჩეული ღვაწლი აქვს მრავალმხრივ შემოქმედსა და მეცნიერს ჰაინც ფენრიხს. მისი კვლევის საგანია ქართველური ენათმეცნიერება, ქართული ლიტერატურა და კულტურის ისტორია; მისი თარგმნილია გერმანულად ქართველ მწერალთა ნაწარმოებები. იგი შესანიშნავად ფლობს ძველ და თანამედროვე სასაუბრო ქართულს, მეგრულ-ჭანურ-სვანურსა და რამდენიმე ჩრდილოეთ კავკასიურ ენასაც. აღსანიშნავია, რომ გერმანიაში ქართველოლოგიურ საქმიანობას ხელს უწყობს ქართული კლუბები და სათვისტომოები, ქართველი და გერმანელი კოლეგების მჭიდრო მეცნიერული თანამშრომლობა. იენის ფრ. შილერის სახელობისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტები ერთობლივად სცემენ ქართველოლოგიურ ჟურნალს – „გეორგიკას", რომლის ერთ-ერთი რედაქტორი და გამომცემელია ჰაინც ფენრიხი.

XVII საუკუნეში ფრანგმა მოგზაურმა ჟან შარდენმა თავის თხზულებაში „მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში" აღწერა საქართველოს სხვადასხვა კუთხე და ქალაქი. 1672-1673 წლებში შარდენმა იმოგზაურა კავკასიაში, მოიარა დასავლეთი და აღმოსავლეთი საქართველო, ვრცლად გადმოსცა საკუთარი თვალით ნანახი უამრავი ფაქტი და მოვლენა, გაგვაცნო თავისი შთაბეჭდილებები, რომლებიც შეავსო საქართველოს წარსულის შესახებ ცნობებით, რომლებიც ამოკრიბა ბერძენ, რომაელ და სპარსელ ისტორიკოსთა თხზულებებიდან, კათოლიკე მისიონერთა ჩანაწერებიდან. შარდენის მიერ მოწოდებული ცნობები მეტად ფასეული და სანდო მასალაა საქართველოს ისტორიისათვის და მას წყაროთმცოდნეობითი თვალსაზრისით ეკისრება მნიშვნელობა.

მეცნიერულ ქართველოლოგიურ მუშაობას კი XIX საუკუნის საფრანგეთში საფუძველი ჩაუყარა ფრანგმა აღმოსავლეთმცოდნემ, აკადემიკოსმა მარი ფელისიტე ბროსემ, რომელმაც 1837 წლიდან მოღვაწეობა რუსეთში განაგრძო, იგი აირჩიეს პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის წევრად ქართულ-სომხური ფილოლოგიის მიმართულებით. მარი ბროსემ ფრანგულად თარგმნა და შვიდ ტომად გამოსცა „ქართლის ცხოვრება", სომხური საისტორიო თხზულებებიდან ამოკრიბა ცნობები საქართველოს ისტორიის შესახებ და თარგმნა ფრანგულად, რითაც საქართველოს ისტორიის წყაროები ხელმისაწვდომი გახადა დასავლეთის სამეცნიერო წრეებისათვის. ზაქარია ფალავანდიშვილთან და დავით ჩუბინაშვილთან ერთად 1841 წელს გამოსცა შოთა რუსთველის „ვეფხისტყაოსანი" წინასიტყვაობის დართვით, რომელშიც პირველადაა გამოყოფილი და კლასიფიცირებული რუსთველოლოგიური პრობლემატიკა. დიდი ღვაწლი მიუძღვის ქართული ეპიგრაფიკის შესწავლის საქმეში, რაშიც ქართველი მეცნიერები და საკითხის მცოდნე პირები ეხმარებოდნენ.

ინგლისში მეცნიერული ქართველოლოგია XIX საუკუნიდან იწყება. პირველ ინგლისელ ქართველოლოგად ასახელებენ ცნობილ მეცნიერს, პოლიგლოტს, საეკლესიო ისტორიის მკვლევარს, სოლომონ სოზარ მალანს. ასევე საინტერესოა ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფესორის, უილიამ რიჩარდ მორფილის მოღვაწეობა, რომელიც 1888 წელს საქართველოში ჩამოვიდა, გაეცნო ქართულ კულტურასა და ქართველ მოღვაწეებს, კერძოდ ილია ჭავჭავაძეს, აკაკი წერეთელს, იაკობ გოგებაშვილს, ივანე მაჩაბელსა და სხვებს. ქართველთა შორის განსაკუთრებული პოპულარობა და სიყვარული დაიმსახურეს მარჯორი და ოლივერ უორდროპებმა, რომლებმაც თავიანთი კულტურულ-მთარგმნელობითი საქმიანობა საქართველოს დაუკავშირეს. და-ძმამ სრულყოფილად შეისწავლა ქართული ენა, ინგლისურად თარგმნეს სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისა", „ვისრამიანი", ქართული ხალხური ზღაპრები, ილია ჭავჭავაძის „განდეგილი", „წმ. ნინოს ცხოვრება"... მარჯორი უორდროპის მიერ „ვეფხისტყაოსნის" ინგლისურად თარგმნამ დიდი როლი შეასრულა უცხოელ მწერალთა და მეცნიერთა პოემით დაინტერესებაში. სწორედ მისი თარგმანით გაიცნო „ვეფხისტყაოსანი" კონსტანტინე ბალმონტმა, რომელმაც შემდეგში თავად თარგმნა რუსულად რუსთველის პოემა. მარჯორი უორდროპი ნაადრევად გარდაიცვალა და მისმა ძმამ, ოლივერმა, მისი გარდაცვალების შემდეგ გამოსცა შოთა რუსთველის პოემის მის მიერ შესრულებული პროზაული თარგმანი.

ინგლისელი ქართველოლოგი, ლიტერატურათმცოდნე და ისტორიკოსი დევიდ ლენგი (1924-1991) ლონდონის უნივერსიტეტის კავკასიათმცოდნეობის კათედრას განაგებდა. 1968 წლიდან არჩეული იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორად. 1946 წლიდან შეუდგა კავკასიის ქვეყნების ისტორიების შესწავლას. მისი კვლევის საგანი იყო ქართული საერო და სასულიერო ლიტერატურა. სამეცნიერო ნარკვევები მიუძღვნა „ბალავარიანის" პრობლემატიკას, თხზულება ინგლისურად თარგმნა და გამოკვლევასთან ერთად გამოაქვეყნა; დაინტერესებული იყო რუსთველოლოგიით, საქართველოს ისტორიით; გამოაქვეყნა წიგნები საქართველოს ისტორიისა და ქართული კულტურის შესახებ: 1957 წელს „ქართული მონარქიის უკანასკნელი წლები. 1658-1832 წლები", 1962 წელს – საქართველოს ახალი ისტორია. XIX-XX საუკუნეები"; ნარკვევები მიუძღვნა გიორგი ბრწყინვალეს, ქართველთა მოღვაწეობას ირანში სეფიანთა დინასტიის დამხობის პერიოდში, ვახტანგ მეექვსის საფრანგეთთან ურთიერთობას, ტოტლებენის საქართველოში ყოფნას (1769-1771 წწ.) და მის სამარცხვინო პოლიტიკას. ნაშრომები ჰქონდა ქართული ნუმიზმატიკის სფეროში, 1966 წელს კი გამოაქვეყნა მიმოხილვითი და საცნობარო წიგნი „ქართველები". ლიტერატურათმცოდნეობითი თვალსაზრისით უნდა აღინიშნოს მისი შრომები „ქართული ლიტერატურის განვითარების საფეხურები", „ხალხური და კურტუაზიული ელემენტები ქართულ ეპოსში".

გაგრძელება შემდეგ ნომერში

როინ ყავრელიშვილი: უნდა გავაცნოთ ჩვენი სამეცნიერო პროდუქცია სამეზობლოს და უნდა გავიცნოთ ისინი

სამეცნიერო მიმართულებით სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორები აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ საერთაშორისო სიმპოზიუმებში. ერთ-ერთი მათგანია პროფესორი როინ ყავრელიშვილი. იგი გვესაუბრება ქალაქ გიუმრიში (სომხეთის რესპუბლიკა) და ქალაქ ბაქოში (აზერბაიჯანის რესპუბლიკა) ჩატარებული ბოლოდროინდელი საერთაშორისო სიმპოზიუმების შესახებ, რომლის მონაწილე თავად გახლდათ.

19-21 სექტემბერს, მიწვეული გახლდით საერთაშორისო სამეცნიერო სიმპოზიუმზე სომხეთის რესპუბლიკაში. სიპოზიუმი ჩატარდა ქალაქ გიუმრიში, შირაქის მხარის არმენოლოგიის კვლევით ცენტრში. ეს არის სომხეთის მეცნიერებათა აკადემიის ერთი ნაწილი. სხვაგან სომხეთში ასეთი პრეცენდენტი არ არსებობს, რომ ერევნიდან რეგიონში გამოტანილი იყოს მეცნიერებათა აკადემიის ერთი ინსტიტუტი. სიმპოზიუმის თემა გახლდათ – **„არმენოლოგიის თანამედროვე პრობლემები“.** უკვე 20 წელია, რაც ეს ცენტრი ფუნქციონირებს; აქ, ტრადიციულად, ტარდება სიმპოზიუმები. კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელობას თბილისში გამართულ ერთ-ერთ სიმპოზიუმზე შევხვდი. მათ გამოთქვეს სურვილი, რომ სიმპოზიუმზე მივეწვიე. ბუნებრივია, დავთანხმდი. სიმპოზიუმზე წარვადგინე მოხსენება **„რამდენიმე საარქივო დოკუმენტი ქართულ-სომხური ურთიერთობების ისტორიიდან (12/02-01. 12. 1920)“.** აღნიშნული დოკუმენტები დაცულია საქართველოს ცენტრალურ საისტორიო არქივში. ისინი წარმოადგენენ 1918-1920 წლებში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობასთან არსებული სომხეთის რესპუბლიკის წარმომადგენლის მიმოწერებს ორ ქვეყანას შორის მიმდინარე დიპლომატიურ ურთიერთობებთან დაკავშირებით.

თვითონ საარქივო მონაცემები ვრცელია და 1918-20 წლებს მოიცავს, მაგრამ მე 1920 წლის დოკუმენტებზე გავამახვილე ყურადღება. შევარჩიე 10 დოკუმენტი, მათგან 9 იყო რუსულ ენაზე, ერთი – სომხურ ენაზე. ისინი ეხება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისა და სომხეთის დემოკრატიული რესპუბლიკის სასაზღვრო ურთიერთობებს, ურთიერთთანამშრომლობის პერსპექტივებს, ასევე, მესამე ქვეყნის მხრიდან შესაძლო აგრესიის შემთხვევაში სამხედრო თანამშრომლობის საკითხებს. ძალიან საინტერესო მიმოწერებია.

თავდაპირველად ვფიქრობდი სომხურ ენაზე გამოსვლას, მაგრამ, შემდეგ ჩავთვალე საჭიროდ რუსულ ენაზე გამეკეთებინა მოხსენება. სწორადაც მოვიქეცი იმიტომ, რომ ყველა მოწვეული სტუმრისთვის გასაგები აღმოჩნდა. თვითონ სომეხი მეცნიერების ერთმა ნაწილმაც, რომლებიც წარმოადგენდნენ სხვადასხვა

ინსტიტუციებს, რუსულად წაიკითხეს მოხსენებები. სიმპოზიუმის მონაწილეთა რაოდენობა 140-ზე მეტი იყო. მაღალ აკადემიურ დონეზე გამოიცა თეზისების სქელტანიანი კრებული. წარმოდგენილი იყო მოხსენებები გერმანიიდან, უკრაინიდან, სომხეთიდან, საქართველოდან, თურქეთიდან, საბერძნეთიდან, ყაზახეთიდან, უზბეკეთიდან, რუსეთიდან, ჰოლანდიიდან, თურქმენეთიდან და სხვა. გარდა თურქეთის წარმომადგენლისა, ყველა მომხსენებელი ესწრებოდა სიმპოზიუმს.

სიმპოზიუმი საინტერესოდ წარიმართა. მართალია, საქართველოს სხვადასხვა უნივერსიტეტებს აქვთ კონტაქტები სომხეთის უნივერსიტეტებთან, მაგრამ არც ისე ხშირი. ისე ჩანს, თითქოს, დიდი ხანია, გვაქვს ურთიერთობა, მაგრამ ყოველთვის ხელახლა ვიწყებთ.

რაც შეეხება ბაქოში ჩატარებულ სიმპოზიუმს. ჩვენ ადრე გვისაუბრია და ახლაც შევახსენებ მკითხველს, რომ უკვე ათი წელია, გამოდის იმპაკტ ფაკტორიანი საერთაშორისო, რეფერირებადი ჟურნალი თურქულ, ინგლისურ და რუსულ ენაზე, სახელწოდებით – „შავი ზღვა“ (Karadenız - Black Sea - Чёрное Море). ჟურნალი, ძალიან პოპულარული გახდა სამეცნიერო წრეებში. ჩვენი უნივერსიტეტის პროფესურა აქტიურად თანამშრომლობს ჟურნალთან. იბეჭდება სტატიები თურქეთიდან და ყოფილი სსრკ-ს რესპუბლიკებიდან. სტატიები ქვეყნდება თურქულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე; მე თვითონ გახლავართ აღნიშნული ჟურნალის რედაქტორი კავკასიის და უახლესი ისტორიის მიმართულებით. ჟურნალის მთავარი რედაქტორი არის პროფესორი ერდოღან ალთინქაინაქი.

ჟურნალის ეგიდით, პირველი სიმპოზიუმი ჩატარდა თბილისში, შემდეგ თურქეთში და მესამე – ქალაქ ბაქოში, აზერბაიჯანის მეცნიერებათა აკადემიაში. სიმპოზიუმის თემა ეხებოდა სოციალურ მეცნიერებებს. ჩვენი უნივერსიტეტის პროფესურის დაინტერესება იყო ძალიან მაღალი – როგორც ბიზნესის, ასევე ჰუმანიტარული სპეციალობების მიმართულებით. ჩვენი უნივერსიტეტის პროფესურის მხრიდან იყო წარმოდგენილი 10 სტატია. სიმპოზიუმს მასპინძლობდნენ აზერბაიჯანის მეცნიერებათა აკადემიის ლიტერატურისა და ფოლკლორისტიკის ინსტიტუტები. სტატიები დაიბეჭდა სიმპოზიუმის სამეცნიერო შრომების კრებულში.

ამ ეტაპზე, საარქივო წყაროების კვალდაკვალ, ვმუშაობ უახლესი პერიოდის ქართულ პერიოდიკაში გამოქვეყნებულ ქართულ-თურქული და რუსულ-თურქული ურთიერთობების ამსახველ სტატიებზე, პრესის თემა მკითხველისთვისაც არის საინტერესო.

თურქეთის საკითხებზე რაც მაქვს ნამუშევარი, შესაძლოა, წიგნადაც გამოვცეთ. ამ თემასთან დაკავშირებით იყო საუბარი თურქეთის საისტორიო საზოგადოების წარმომადგენელთან, მათ თვითონ მომაწოდეს წიგნის დაბეჭდვის იდეა. ვფიქრობ, კარგი წიგნი გამოვა. თურქეთის თემა ქართულ პრესაში არის არა მხოლოდ ქართულ, არამედ რუსულ ენაზეც.

თემა, რომელიც წარვადგინე ბაქოში, ქართულ პრესაში გამოქვეყნებული სტატიების მიმოხილვაა, აღებული გაზეთებიდან – „კომუნისტი“ და „Правда Грузии“. აქ გვხვდება სტატიები, სადაც საუბარია იმ პერიოდის საბჭოთა რუსეთის დამოკიდებულებაზე ქემალისტური თურქეთის მთავრობის მიმართ, მათ შორის არსებულ ინტენსიურ კავშირებზე. ფაქტობრივად, იმ ეტაპზე დასავლეთში ისინი ხედავდნენ მტერს, რამაც მათი დაახლოება გამოიწვია. საკმაოდ ბევრი მასალა არის წარმოდგენილი. ბევრი საკითხი კარგად არის გააანალიზებული. ზოგ სტატიას დოკუმენტებიც ახლავს.

ამ სიმპოზიუმზე ჩვენი უნივერსიტეტის პროფესურის სტატიები სხვადასხვა მიმართულებით იყო წარმოდგენილი. შემაჯამებელ სხდომაზე ვისაუბრე მათ მოხსენებებთან დაკავშირებით, რადგან ვიცნობდი მათ, როგორც რედკოლეგიის წევრი. თითოეულმა ავტორმა მიიღო შრომების კრებულის ერთი ეგზემპლარი.

მინდა აღვნიშნო, რომ სამეცნიერო კონტაქტებთან დაკავშირებით მაქვს მხარდაჭერა ჩვენი რექტორატის მხრიდან. ზოგადად, რექტორატი, ადმინისტრაცია, ფაკულტეტი მხარს გვიჭერს მსგავს ღონისძიებებში მონაწილეობისთვის, ნაწილობრივ გვიფინანსებს სამეცნიერო მივლინებას. ეს არის მკვლევარ-მეცნიერთა წახალისება და სტიმული. ვფიქრობ, ჩვენი მხრიდან უფრო მეტი მეცნიერი ჩაერთვება სამეცნიერო კონტაქტებში საზღვარგარეთის უნივერსიტეტებთან, რომ უფრო კარგად წარმოჩნდეს ჩვენი უნივერსიტეტი და ჩვენი სამეცნიერო პროდუქცია საერთაშორისო სამეცნიერო ასპარეზზე. ჩვენ უნდა გავაცნოთ ჩვენი თავი სამეზობლოს და ჩვენც უნდა გავიცნოთ ისინი, რომ შევძლოთ მეცნიერებმა როგორც საერთო, ისე განხვავებულ საკითხებზე მსჯელობა და თანამშრომლობა. საუნივერსიტეტო თანამშრომლობა მოგვცემს შესაძლებლობას, დავინახოთ საერთო პრობლემები, მოვიძიოთ მათი გადაჭრის გზები და შევძლოთ საერთო კონსენსუსამდე მისვლა.

იურიდიულ ფაკულტეტზე ადამიანის უფლებების დაცვის საკითხებზე იმსჯელეს

სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენცია

იურიდიული ფაკულტეტის ორგანიზებით, 11 დეკემბერს, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენცია გაიმართა. კონფერენცია ადამიანის უფლებების დაცვის დღეს მიეძღვნა. მასში მონაწილეობა ფაკულტეტის ათმა სტუდენტმა მიიღო. ფაკულტეტის დეკანმა, პროფესორმა **მალხაზ ლომსაძემ,** კონფერენციაში წარმატებით მონაწილეობისთვის, სტუდენტებს სერთიფიკატები გადასცა. კონფერენცია, იმიტირებული პროცესების დარბაზში, ფაკულტეტის დეკანმა გახსნა. **1948 წლის 10 დეკემბერს შედგა საერთაშორისო ხასიათის დოკუმენტი – ადამიანის უფლებათა საერთაშორისო დეკლარაცია, რომელსაც ხელი მოაწერა მსოფლიოს ბევრმა ქვეყანამ. ამ ქვეყნებმა აიღეს ვალდებულება, რომ საკუთარ სამამულო კანონმდებლობაში ასახავდნენ ყველა იმ უფლებებს და ყველა იმ ვალდებულებებს, რომელიც ნორმატიული აქტით იყო განსაზღვრული გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ანსამბლეის მიერ. ამიტომ, დღეს ჩვენ შევიკრიბეთ იმისთვის, რომ ჩავატაროთ ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით საფაკულტეტო კონფერენცია.**

ფაკულტეტის დეკანმა კონფერენციის მნიშვნელობის შესახებ გაამახვილა ყურადღება. აღნიშნა,

რომ კონფერენციის მიზანია, ამაღლდეს სტუდენტებში ცნობიერება ადამიანის უფლებების დაცვის მიმართულებით. **თემების წარდგენის შემდგომ, გაიმართება მსჯელობა, დისკუსია, კამათი. ჩვენ ვართ კვლევითი დაწესებულება და კონფერენციების ჩატარება, მსჯელობა ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით ჭეშმარიტებამდე მისვლა, აუცილებელი და მნიშვნელოვანია.**

ბატონმა მალხაზმა მისასალმებელ გამოსვლაში კიდევ ერთ მნიშვნელოვან საკითხზე გაამახვილა ყურადღება. აღნიშნა, რომ უნივერსიტეტში არსებობს სხვადასხვა სახის სტიპენდია და მისი მიღებისთვის, სამეცნიერო საქმიანობაში მონაწილეობა გარკვეული ქულებით ფასდება. ამიტომაცაა ყოველგვარი მცდელობა ფაკულტეტის სტუდენტებისთვის ხელშეწყობის, რომ იყვნენ მზად, იბრძოლონ, თუნდაც, გრიგოლ ხანძთელის სახელობის სტიპენდიის მოპოვებისთვის. ამასთან, ვრცლად ისაუბრა იმის თაობაზე, რომ იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტები არა მხოლოდ საუნივერსიტეტო, არამედ რესპუბლიკურ თუ საერთაშორისო კონფერენციებშიც აქტიურად მონაწილეობენ.

კონფერენციაზე სტუდენტებმა, თანამედროვე გამოწვევებიდან გამომდინარე, საინტერესო თემები წარადგინეს. იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტმა **დონარი ლონდარიძენ** კონფერენციაზე წაიკითხა თემა **„წამების აკრძალვა“: თემაში განხილული მქონდა როგორც წამების მეთოდები და მოტივები, ასევე, მსხვერპლისა და ჩამდენის ფსიქოლოგია. საკონფერენციო ნაშრომში განვიხილე წამების უსაშინელესი მეთოდები, რომელსაც შუა საუკუნეებში იყენებდნენ. თემის დასასრულს, ვისაუბრე არასამთავრობო ორგანიზაციების როლზე და მათ პროგრამებზე, რამაც ზემოაღნიშნული საკითხების პრევენციას შეუწყო ხელი. აქამდე არაერთ კონფერენციაში მიმიღია მონაწილეობა და ყოველი ახალი კონფერენცია ჩემთვის უფრო საინტერესოა, რადგან ვიღებ ახალ გამოცდილებას.**

კონფერენციაში პირველკურსელებიც მონაწილეობდნენ. **ძალიან დიდი გამოცდილება მივიღე. ბევრი ისეთი ინფორმაცია მოვისმინე, რომელმაც აამაღლა ჩემი ცნობიერება სამართლებრივი საკითხების მიმართ, რაც მომავალში აუცილებლად გამომადგება. საინტერესო პროცესი გახლდათ თემაზე მუშაობა. ჩემი თემა აქტუალურ საკითხს – „შეკრებებისა და მანიფესტაციის თავისუფლებას“ ეხებოდა. ვაპირებ, მომავალშიც მივიღო მონაწილეობა. –** გვითხრა პირველი კურსის სტუდენტმა **ნინო სუდაძემ.**

კონფერენციის დასრულების შემდგომ, იურიდიული ფაკულტეტის დეკანმა და პროფესორ-მასწავლებლებმა სტუდენტთა გამოსვლა დადებითად შეაფასეს. აღინიშნა, რომ კონფერენციის მუშაობა წარმატებული და საინტერესო იყო.

ლიკა ზაზაშვილი

სოფია სუკასიანი – ესეების კონკურსის გამარჯვებული

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართულ ენაში მომზადების პროგრამის მსმენელი **სოფია სუკასიანი** საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში გამართული ესეების კონკურსის **„მე ვარ ტოლერანტი – თავისუფალი ადამიანი მრავალფეროვან სამყაროში“** გამარჯვებული გახდა. კონკურსში მონაწილეობას იღებდნენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ილიაუნის, ტექნიკური უნივერსიტეტის, სამცხე-ჯავახეთის, ქუთაისისა და ბათუმის უნივერსიტეტების მოსამზადებელი ფაკულტეტის სტუდენტები. გამოვლინდა ხუთი საუკეთესო ნაშრომის ავტორი. გამარჯვებულთა დაჯილდოების ცერემონია პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში 20 დეკემბერს გაიმართა. გამარჯვებულებს გადაეცათ საჩუქრები. ყველა მონაწილეს გადაეცა მადლობის სიგელი და სამკერდე ნიშანი.

ღონისძიება განხორციელდა „თსუ ახალგაზრდული ცენტრის“ მიერ („გაეროს ასოციაციის“ პროექტის PITA-ს ფარგლებში) ეუთოს ეროვნულ უმცირესობათა უმაღლესი კომისრის ოფისის ფინანსური მხარდაჭერით.

ინფორმაცია უნივერსიტეტის facebook-ის გვერდიდან

„მესხეთის ნოსტალგია“

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში ასოცირებული პროფესორის ვახტანგ ინაურის 70 წლის იუბილე აღინიშნა, 12 ნოემბერს. დამსწრე საზოგადოების წინაშე იუბილარმა წარადგინა ლექსების კრებული „მესხეთის ნოსტალგია”. ქართული ფილოლოგიისა და დაწყებითი განათლების სპეციალობების სტუდენტებმა წაიკითხეს ლექსები იუბილარის ახალი წიგნიდან. ბატონი ვახტანგის, როგორც მეცნიერისა და პოეტის შესახებ, ისაუბრეს კოლეგებმა და მეგობრებმა. განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანმა, ასოცირებულმა პროფესორმა გულიკო ბექაურმა, უნივერსიტეტში გაწეული ღვაწლისთვის, ვახტანგ ინაურს მადლობის სიგელი გადასცა.

ღონისძიება სამეცნიერო ბიბლიოთეკის ხელმძღვანელმა, ასოცირებულმა პროფესორმა ლალი ბერიძემ გახსნა, სტუდენტებსა და პროფესორ-მასწავლებლებს ვახტანგ ინაურის ბიოგრაფია გააცნო. ასევე, ისაუბრა მისი სამეცნიერო მოღვაწეობისა და სხვადასხვა საგანმანათლებლო თუ სამეცნიერო დაწესებულებებთან თანამშრომლობის შესახებ. განსაკუთრებით აღინიშნა ბატონი ვახტანგის სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტთან ხანგრძლივი თანამშრომლობის შესახებ.

იუბილარს მიესალმა ასოცირებული პროფესორი გულიკო ბექაური, ბატონ ვახტანგს მიულოცა 70 წლის იუბილე და აღნიშნა, რომ ეს ის ასაკია, როდესაც ადამიანისაგან უნდა ვისწავლოთ ძალიან ბევრი: **ბატონმა ვახტანგმა განათლების, მეცნიერების სფეროში მოღვაწეობა განვლო საინტერესოდ. უყვართ ბატონი ვახტანგი კოლეგებსა და სტუდენტებს და უყვარს მესხეთს. დავფიქრდი წიგნის სათაურზე – „მესხეთის ნოსტალგია“. ამით ბატონმა ვახტანგმა გამოხატა დიდი სიყვარული ჩვენი კუთხის, ჩვენი უნივერსიტეტის მიმართ. „ჩამოეფარა ისტორიას მდუმარე ჩადრი, ძნელია ნათლად გაარჩიო ავი და კარგი“. ამ ასაკში ადამიანი კარგად ხედავს რა არის კარგი, რა არის ცუდი და მთელი თავისი ღირებულებათა სისტემა ჩამოყალიბებულია. მიხარია, რომ ამ ღირებულებათა სისტემაში, ბატონი ვახტანგის, როგორც მეცნიერის ჩამოყალიბებაში, ჩვენს კუთხეს, ჩვენს უნივერსიტეტს დიდი ადგილი უკავაია. სხვა შემთხვევაში, ძნელია გამოხატო ის ემოცია, რომელიც ბატონ ვახტანგს აქვს გამოხატული თავის ლექსებში.**

ქალბატონი გულიკოს მიერ გამოთქმული მოსაზრების შემდგომ, ქართული ფილოლოგიისა და დაწყებითი განათლების სპეციალობების სტუდენტებმა წაიკითხეს ვახტანგ ინაურის ლექსები და აღნიშნეს, რომ ის არის დიდებული ადამიანი, თბილი, მეგობრული, უაღრესად განათლებული, რომ მას აქვს ნიჭი და უნარი – სტუდენტს სათქმელი ზუსტად მიაწოდოს.

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, ასოცირებულმა პროფესორმა მაკა ბერიძემ ვახტანგ ინაურს იუბილე და წიგნის პრეზენტაცია მიულოცა: **მე ბატონი ვახტანგის სტუდენტი გახლდით, გარკვეულ დროს გახლდით ბატონი ვახტანგის კოლეგა და დღესაც მაქვს ეს პატივი. მთავარი გზავნილი, რასაც ბატონი ვახტანგის მისამართით ვამბობდით სტუდენტები, იყო ორი. პირველი – არასდროს არ გაცდებოდა მისი ლექცია, მეორე – მისი ლექცია იყო ლექციასა და პრეზენტაციას შორის. ბატონი ვახტანგის ყველა ლექცია იყო სპეციფიკური – ხმით, რიტმებით, ლექციის აგებით. მინდა მივულოცო ბატონ ვახტანგს იუბილე. უნივერსიტეტმა, სადაც თქვენ თქვენი ცხოვრების მნიშვნელოვანი წლები გაატარეთ, იცის, პროფესორ ვახტანგ ინაურის ფასი.**

ბატონ ვახტანგს წიგნის პრეზენტაცია და იუბილე მიულოცა სამცხე-ჯავახთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილემ სამეცნიერო დარგში, პროფესორმა მერაბ ბერიძემ. მან აღნიშნა, რომ საინტერესოა ლექსების კრებულის სათაური „მესხეთის ნოსტალგია.“ ნოსტალგია ემართება იმ კაცს, რომელიც წავა და მოენატრება. ბატონი ვახტანგი კი მესხეთში მოღვაწეობის დროს დაავადდა ნოსტალგიით. **ვახტანგი არ არის პოეტი, რომელიც მხოლოდ პოეზიით ცოცხლობს. როდესაც ფილოლოგიის ფაკულტეტზე მოღვაწეობ, ეს იმას ნიშნავს, რომ სხვანაირად ხარ წილნაყარი პოეზიასთან. როდესაც წამოვიდა მაშინდელი მესხეთის ფილიალში სამუშაოდ, სულითა და გულით წამოვიდა. მინდა გავიხსენო „ლიტერატურული ხუთშაბათობები“. ბატონი ვახტანგი ცენტრალური ფიგურა იყო იმ პოეზიის საღამოების. გავიხსენებ პატარა წიგნაკებს, რომელიც მაშინ გამოვეცით. კარგი იქნება, თუ ეს ტრადიცია გაცოცხლდება.** ბატონმა მერაბმა წაიკითხა ბატონი ვახტანგის ლექსი „წარმართის რისხვა“. აღნიშნა, რომ მის შემოქმედებაში ეს ლექსი განსაკუთრებული თავისუფლებით გამოირჩევა.

ბატონი ვახტანგი მისი ლექსებით, ძალიან ლამაზი გამოთქმის მანერით ყოველთვის გვანებივრებდა. არ მიკვირს, რომ წიგნს ასეთი სახელწოდება აქვს. ბატონი ვახტანგი არის ამ უნივერსიტეტის ძველი მეცხოვნე და, შესაბამისად, ის 90– იანი წლები, რაც ჩვენმა კოლეგებმა ერთად გადავიტანეთ, არის თითოეულ ლექსში ჩაქსოვილი. პროფესორთა საერთო საცხოვრებელში ყოველთვის იყო პოეზიის საღამოები. 90-იანების რთული წლები ასე ლამაზი ლექსების წაკითხვით გადაგვქონდა. მინდა მივულოცო ბატონ ვახტანგს იუბილე. – აღნიშნა რექტორის მოადგილემ სასწავლო დარგში, პროფესორმა ნიკოლოზ ახალკაცმა.

არ შეიძლება, რომ გვარი, რომელიც „ურზე“ მთავრდება, არ იყოს ახლოს პოეზიასთან. ყველა დიდი პოეტი, მწერალი ჩვენი დიდი მდინარეები არიან. ეს მდინარეები თუ ნაკადულებით არ იქნება შევსებული, ისე ვერ იქნება პოეზია ძლიერი. ასეთი ანკარა ნაკადული უერთდება ბატონი ვახტანგის სახით დიდ პოეზიას. – აღნიშნა მოწვეულმა პედაგოგმა ნელი ღონღაძემ.

ღონისძიების ბოლოს, დამსწრე საზოგადოების წინაშე თავად იუბილარი წარსდგა, მადლობა მოახსენა ყველას ღონისძიების ორგანიზებისთვის. **ლექსს უნდა თავისუფალი დრო, ოცნების ფიქრი, ყოველ ფრაზაზე, რითმაზე უნდა იფიქრო, თორემ ის ხელოვნური გამოვა, ყალბი იქნება და ხალხის გულამდე ვერ მიაღწევს. წიგნში გაერთიანებულია რამდენიმე ციკლი. პირველი ციკლი აწყურზეა, რომელიც ერთიანი მესხეთის თემით იწყება. წიგნში შესულია წარმართული პერიოდის ციკლი, ასევე, ლირიკა. გასაკეთებელი მაქვს ვარძიაზე ლექსთა ციკლი. ვარძია, თმოგვი და ხერთვისი – ეს არის საინტერესო სამკუთხედი, ჩვენი წარსულის სიდიადე იქ დევს. „მესხეთის ნოსტალგიაში“ ამ ციკლიდან მხოლოდ სარგის თმოგველზე მოხვდა ლექსი. საინტერესო ის იყო, რომ სტუდენტებმა ისეთი ლექსები წარმოადგინეს, რომლებიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ჩემს შემოქმედებაში.** – აღნიშნა იუბილარმა და დასძინა, რომ მესხეთის თემატიკა მას სიყმაწვილიდან ხიბლავდა. – **რუსთაველის 100 წლის იუბილე მესხეთში აღინიშნა. ამ ფაქტმა ამ კუთხის ავტორიტეტი საქართველოში უფრო აამაღლა. ასე მოექცა მესხეთი ჩემი ინტერესის სფეროში.**

ბატონმა ვახტანგმა მისი შემოქმედებიდან რამდენიმე ლექსი წაიკითხა და კიდევ ერთხელ მადლობა მოახსენა ღონისძიების ორგანიზაროტებს ასეთი საღამოს გამართვისთვის.

ლიკა ზაზაშვილი

ვახტანგ ინაური

დამსხვრეული ფიქრები

* * *

აღარც დაღამება მიხარია,
აღარც განთიადის მზე,
უკვე ნამღერია მანფრედის არია,
უკვე ჩაუვლია წლებს.
უგულო ღრუბელმა ამინდი არია,
შავად იქუფრება ცა,
აღარც ვარდობის თვე მიხარია,
აღარც სიხარული მწვავს.
ვიწყებ მოგონებას ათასწლიანს,
ვეძებ თავისუფალ სულს,
აღარც მარტოობა შემიძლია,
აღარც შენი ნახვა მსურს.
აღარ მივენდობი ნაწამები
გრძნობას ცბიერსა და წრფელს,
აღარ ამოგიშრობ წამწამებზე
ცვარად ჩამოღვარულ ცრემლს.
აღარც ოქროსფერი ნაზი მზეა,
აღარც იღიმება ცა,
აღარც დავიწყება შემიძლია,
აღარც სიყვარული მწამს.

* * *

კვლავ მარადიულ დუმილთან დავრჩი,
კვლავ მომენატრა პატარა ოდა
და მაგონდება სევდიან ბაღში
ალვის ხეების გაბმული ბოდვა.
სადაც წუხილით გატაცებული
უკანასკნელი ნაღველი მოკვდა.
მე უსასრულო ღიმილთან დავრჩი
და მენატრება პატარა ოდა.

* * *

მურმან ლებანიძეს

ტახტი... სისხლსავსე ძარღვები
ხელზე!
ცისფერ მუზათა ქვეყნის მპყრობელი!..
მშვიდი ღიმილი კეთილ სახეზე...
გულში ხანძარი ჩაუქრობელი!..
სათნო თვალებში შარავანდედი...
ძველი ქართული ქოჩორი ვერცხლის...
ცეცხლი-ლამპარი მგოსანთა ბედის...
პოეტის ბედად ქცეული ცეცხლი...
ყაყაჩოს ცეცხლი უფლისციხესთან
მკერდ-შელეწილი არმაზის ურვა...
კრწანისზე ჩუმი ქვითინი ხეთა
დაღლილი სული... ბატონო მურმან!..

„ზოგიერთი რამ ლექსის წერის შესახებ“

გავბედე **და 70 წლისამ გამოვაქვეყნე ჩემი ლექსების კრებული. არასოდეს მიგრძვნია თავი პროფესიონალ პოეტად, მწერლად. კითხვითი ნიშანი სტუდენტობის პერიოდიდან მომდევს თუ როგორ იქმნება ლექსი, პროზაული ნაწარმოები. ამიტომ, როდესაც დავწერდი რაიმეს, მივცემდი ლექსის სახეს, გადავწყვიტე, ჩამენიშნა, როგორ ვაკეთებდი ამას.** – აღნიშნა 14 ნოემბერს გამართულ „გულანის“ სხდომაზე რექტორის მოადგილემ სამეცნიერო დარგში, პროფესორმა **მერაბ ბერიძემ,** რომელმაც წარადგინა მოხსენება თემაზე **„ზოგიერთი რამ ლექსის წერის შესახებ.“** ბატონმა მერაბმა დამსწრე საზოგადოებას საკუთარი ავტორობით გამოცემულ წიგნში **„უნდა იფხიზლო მაშინ, როცა მგლებსაც კი სძინავთ“** დაბეჭდილი რამდენიმე ლექსის მისეული ანალიზი შესთავაზა. **ჩემი დაინტერესება ლიტერატურით ჯერ კიდევ სტუდენტობის წლებიდან დაიწყო. 1967 წელს, როდესაც მივედი დედაუნივერსიტეტში, ჩვენი იდეალები იყვნენ პოეტები, მწერლები, ჩვენი იდეალი იყო ჩვენი ქვეყანა, რომლისთვისაც უნდა გვებრძოლა. ჩვენს თაობას ამ პრინციპისთვის არ უღალატია. ყველა ჩვენ-ჩვენ ფრონტზე ვიბრძოდით. მე ლინგვისტიკის მიმართულებით წავედი.**

ბატონმა მერაბმა აღნიშნა, რომ ლექსი იწერება არა შენ მიერ, არამედ ვიღაც არის შენში, გკარნახობს და წერს შენ მაგივრად. **მე ჩემს დღიურებში მივანიშნებდი, როგორ იწერებოდა ლექსი. რაღაც ვერ ავხსენი, რაღაც თავისით მოვიდა. ასე ოთხიოდე ლექსი გავაკეთე. როდესაც ლექსების კრებული „უნდა იფხიზლო მაშინ, როცა მგლებსაც კი სძინავთ“ გამოვეცი და წინასიტყვაობა უნდა დამეწერა, გადავწყვიტე, რომ იმ რამდენიმე ლექსის ჩემეული ანალიზი, რომელიც გამიკეთებია რამდენიმე წლის წინ, ამ ლექსების კრებულისთვის წამემძღვარებინა.**



ბატონმა მერაბმა გულანის სხდომაზე შეკრებილ სტუდენტებსა და პროფესორ-მასწავლებლებს ლექსები – **„პაპა-გუთნისდედა“, „ცეკვა ცეცხლისთვის“, „იძინეთ, ქართველებო“, „ფორთოხლის ღამე,“ „სერაფიონ ზარზმელის გახსენება,“ „ახალციხის ციხის ძირას“** წარუდგინა. **ცხოვრობდე მესხეთში და გულგრილი იყო შენი წინაპრების, მათი ნახელავის მიმართ, არ შეიძლება. შემთხვევითი არ არის, რომ წინაპრებთან დაკავშირებით მაქვს რამდენიმე ლექსი. ამ ყველაფერს აქვს რეალური საფუძველი. არცერთი სტრიქონი არ არის საიდანღაც ნაწვალები. თუ არ არის საფუძველი, ასეთ შემთხვევაში, ლექსი არ იქნება.**

ბატონი მერაბის გამოსვლის შემდგომ, უნივერსიტეტის რექტორმა, მაკა ბერიძემ, შემდეგი განაცხადა: **გამახსენდა ლიტერატურული ხუთშაბათობები. ამგვარი გარემო იყო. დღეს კიდევ ერთხელ გავიაზრე – ლექსის წერას, გარდა ოსტატობისა, რამდენი ფიქრი უდევს საფუძვლად, უკიდეგანო ცოდნა, რა სიღრმიდან მოდის, როდესაც ლექსი იტევს სათქმელს. ეს ბატონი მერაბის ლექსებში იგრძნობა. იგრძნობა ავტორის უდიდესი ცოდნა, გამოცდილება. თითოეული ლექსი იყო განსხვავებული, მაგრამ დაიტია სამყარო, ყოფა, მთელი ერა, ეპოქა. რამხელა ცოდნა სჭირდება იმ ადამიანს, ვინც გადაწყვეტს, რომ ლექსის ანალიზი გააკეთოს.**

„გულანის“ სხდომის დასასრულს დასმულ კითხვაზე – საჭიროა მკვლევარმა მიაგნოს ზუსტად იმას, რაც ავტორმა ჩადო ლექსებში თუ უკეთესია დარჩეს უცნობი, ლექსების ავტორმა ასე უპასუხა: **დამოკიდებულებაა მთავარი, ასე მგონია. სხვისი ანალიზი ძალიან საინტერესოა. მთავარი, ალბათ, ის არ არის, მე რა მინდოდა. მთავარია, რა უნდა მკითხველს. მერე ვიფიქრებ იმაზე, მე ვიყავი მართალი თუ მკითხველი. თითოეულ ჩემს ლექსს აქვს დაწერის მიზეზი, უზის თარიღი. როდესაც ჩავხედავ, მახსენდება ის სიტუაცია, რამაც განაპირობა ლექსის დაწერა. რუსთველი ამბობდა: არ ვარგიხარ თუ ნათელად არ იტყვი და არ ვარგიხარ, თუ შეფარვით არ იტყვიო. კარგია, თუ მათ შორის გაივლი. რაც დავწერე, თუ მკითხველი იტყვის მისია და ჩემია, ამას არაფერი სჯობს.**

შემოქმედებითი კონკურსი უნივერსიტეტში

24 დეკემბერს, განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტთა შემოქმედებითი კონკურსი გაიმართა. ლექსების წაკითხვის გარდა, სტუდენტებმა საკუთარი ნახატები, ხელნაკეთი აქსესუარები და სხვა ნივთები გამოფინეს. შემოქმედებითი კონკურსის გამართვის იდეა ფაკულტეტის დეკანს, ასოცირებულ პროფესორს **გულიკო ბექაურს** ეკუთვნის. კონკურსის ორგანიზებაში მონაწილეობა მიიღეს ფაკულტეტის სტუდენტებმა – **ხატია ჩილინგარაშვილმა, მარიამ იაძემ** და **ვერიკო ჯავახიძემ.**

სტუდენტებს უფრო მეტი შეეძლოთ, ვიდრე ჩვენ – ლექტორები ვხედავდით. გვინდოდა ფართო საზოგადოებისთვის სტუდენტთა სულიერი სამყარო გაგვეცნო, წარმოგვედგინა მათი ხედვა, მათი შემოქმედება. შემოქმედება არ არის ის შესაძლებლობა, რომ ყველას მიეღო კონკურსში მონაწილეობა. გვინდოდა შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოებული სტუდენტების ინტერესები, მათი ხედვა, შემოქმედება გვეჩვენებინა. – აღნიშნა ქალბატონმა გულიკომ.

შემოქმედებით კონკურსში მონაწილეობა მიიღეს – **მარიამ ჩინჩალაძემ, თამარ ანთაძემ, მეგი დიანოსაშვილმა, ნათია ჯვარიძემ, ბელა მახათაძემ, თამუნა დათიაშვილმა, ფერიდე ილიასოვმა, გრიშა გევორქიანმა, ლილი ოქრომელიძემ.**

ბელა მახათაძემ, მარიამ ჩინჩალაძემ, მეგი დიანოსაშვილმა და თამარ ანთაძემ საკუთარი ლექსები წაიკითხეს, დანარჩენმა სტუდენტებმა კონკურსზე წარადგინეს საკუთარი ნამუშევრები. მარიამ ჩინჩალაძემ კონკურსში მონაწილეობა ორივე მიმართულებით მიიღო. კონკურსის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ ლექების წერა თუ ნამუშევრების შექმნა ბავშვობიდან დაიწყეს. ახალგაზრდების შემოქმედება სპეციალურმა ჟიურიმ შეაფასა. გამოფენის მნიშვნელობაზე ისაუბრეს კონკურსზე დამსწრე სტუდენტებმა – **ვერიკო ჯავახაძემ, დათუნა ჩადუნელმა, ნინო ზაზაშვილმა.** დათუნა ჩადუნელმა გამოფენაზე სტუდენტთა ნამუშევრების შეფასების გარდა, სასიამოვნო ინფორმაციაც გააჟღერა. აღნიშნა, რომ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებს, ვაშლობის ხეობაში მიმდინარე ექსპედიციაში მონაწილეობისათვის, ძეგლთა დაცვის ეროვნულმა სააგენტომ სიგელები გადასცა.

ჟიურის წევრმა, ასოცირებულმა პედაგოგმა, **ვახტანგ ინაურმა** სტუდენტთა ლექსებზე ისაუბრა, ხოლო ჟიურის მეორე წევრმა, მოწვეულმა პედაგოგმა **ლელა ფერაძემ** – სტუდენტთა ნამუშევრები შეაფასა. გამოვლინდნენ გამარჯვებულები. საკუთარი ლექსების კონკურსში-ქართული ფილოლოგიის მესამე კურსის სტუდენტმა **მარიამ ჩინჩალაძემ** გაიმარჯვა, ნამუშევრების მიმართულებით – დაწყებითი განათლების მეორე კურსის სტუდენტმა **ნათია ჯვარიძემ.**

თემატურად წარმოდგენილი ლექსები მისაღებია, აკმაყოფილებს თანამედროვე მოთხოვნებს. რადგან პოეზიის პრინციპი გვავალებს, ვიყოთ ობიექტურები. ლექსს ვაფასებთ მხატვრული მონაცემებით, პოეტური მონაცემებით, აზროვნებით, თემის მასშტაბურობით და ასე შემდეგ. ამდენად, ჩემი და პროფესორ მერაბ ბერიძის შეფასებით, პოეტიკით წინა პლნზე წამოწეულია მარიამ ჩინჩალაძის ლექსები. – აღნიშნა ბატონმა ვახტანგმა.

ნამუშევრები ესთეტიურად არის შექმნილი. მიჭირს რომელიმეს ამორჩევა. ფერწერას მივანიჭებდი უპირატესობას, რადგან განსხვავებულია სხვა ნამუშევრებისგან. – აღნიშნა ლელა ფერაძემ.

მარიამ ჩინჩალაძემ მადლობა მოახსენა ფაკულტეტის დეკანს გულიკო ბექაურს, რომ შედგა ეს დღე. **იმდენად პატარა ასაკიდან დავიწყე ხელნაკეთი ნივთების დამზადება და ლექსების წერა, აღარ მახსოვს. ჩემი პირველი ლექსი არის „აპლოდისმენტები“. ეს დღე იქნება სტიმული, უფრო მეტი გავაკეთო.**

ხატვა ბავშვობიდან დავიწყე. თავიდან ფანქრით ვხატავდი, შემდეგ დავიწყე ტილოზე მუშაობა. ნამუშევრებს არ ვასათაურებ. თვითნასწავლი გახლავართ. ვხატავ, როდესაც კარგ ხასიათზე ვარ. დღევანდელი გამარჯვება ჩემთვის მნიშვნელოვანია. – აღნიშნა ნათია ჯვარიძემ.

გამარჯვებულ სტუდენტებს გადაეცათ განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სიგელები და სამახსოვრო საჩუქრები. ასევე, ფაკულტეტმა სიგელებით დააჯილდოვა კონკურსის ყველა მონაწილე.

გვერდი მოამზადა
ლიკა ზაზაშვილმა

„ახალგაზრდებს ვეტყვი – დრო არ დაკარგონ უქმად“

რევაზ ხითარიშვილი სოფელ ვალეში დაიბადა, 1974 წელს დაამთავრა ქ. ვალის №1 საშუალო სკოლა. 1974-78 წლებში სწავლობდა გორის ნ. ბარათაშვილის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში, პედაგოგიკისა და მეთოდიკის ფაკულტეტზე.

პარალელურად, 1975-79 წლებში, სწავლა გააგრძელა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ხელოვნების ფაკულტეტზე ფერწერის განხრით.

1989 წელს თბილისში „ახალ გალერეაში" მეგობართან ერთად მოაწყო პერსონალური გამოფენა. წარმატებით მონაწილეობდა სხვადასხვა კონკურსში. მისი ნამუშევრები შეძენილი აქვთ საქართველოსა და სხვადასხვა ქვეყნის კოლექციონერებს და მხატვრობის მოყვარულებს.

1985-90-იან წლებში მონაწილეობდა თბილისში „საგაზაფხულო" და „საშემოდგომო" გამოფენებში. თსუ ახალციხის ფილიალში სახვითი ხელოვნების სწავლების მეთოდიკას უკითხავდა სტუდენტებს.

ასეთია ბიოგრაფია მხატვრის, რომლის ნამუშევრების გამოფენა მოეწყო სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მუზეუმში, 18 ნოემბერს.

გამოფენა გახსნა და ეს დღე ავტორსა და დამთვალიერებლებს მიულოცა უნივერსიტეტის რექტორმა, ასოცირებულმა პროფესორმა მაკა ბერიძემ.

მაპატიეთ ასეთი მიკერძოებისთვის, მაგრამ პირველ რიგში ბატონ რევაზს მივესალმები არა როგორც მხატვარს, არამედ მივესალმები ადამიანს, რომელიც ჯერ კიდევ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილიალობის დროს ჩვენი უნივერსიტეტის პედაგოგი გახლდათ. – აღნიშნა რექტორმა. – **მადლობას მოვახსენებ მას იმ წლებისათვის. შემდეგ კი მივესალმები მას, როგორც შემოქმედს. მე არ გახლავართ ხელოვნებათმცოდნე, შესაძლებელია, სრულფასოვნად ვერ შევაფასო ეს ფერწერული ტილოები, მხოლოდ ერთი რამ შემიძლია გითხრათ, რომ მომხვდა თვალთ თემატიკის მრავალფეროვნება. ჩემთვის, პირადად, ყველა ნამუშევარი იკითხება. მინდა დიდი მადლობა მოვახსენო ბატონ რევაზს იმისთვის, რომ დღეს ჩვენ გვაქვს საშუალება, მისი მხატვრული ტილოები ვნახოთ და დავტკბეთ.** ქალბატონმა მაკამ მადლობა მოახსენა გამოფენის მოწყობის ორგანიზატორებს, პროფესორ მერაბ ბერიძეს და მუზეუმის თანამშრომელს მარიამ ჩიტაშვილს.

რექტორის მოადგილემ სამეცნიერო მიმართულებით, პროფესორმა მერაბ ბერიძემ მიულოცა პერსონალური გამოფენა ბატონ რევაზს და ისაუბრა იმ ურთიერთობებზე, რომელიც მხატვართან აკავშირებდა. **რევაზ ხითარიშვილი თსუ ახალციხის ფილიალში კითხულობდა ლექციებს გამოყენებითი ხელოვნების ფაკულტეტზე, რომლის კურსდამთავრებულები დღეს აღიარებული პროფესიონალები არიან საქართველოში. ეს არ იყო პატარა საქმე.** – აღნიშნა ბატონმა მერაბმა. – **რატომ? იმიტომ, რომ აქ ყველაფერი ხელოვნების დონეზე იყო აყვანილი და ამ ყველაფრის შემოქმედნი მაშინდელი ბიჭები იყვნენ. რაც შეეხება ჩვენი რევაზის მხატვრობას, ერთ რამეს ვიტყოდი – როდესაც მას ვუთხარი, რომ ცოტაა-მეთქი რაოდენობა ნახატების, მიპასუხა: ჰო, მართალია, უცხოელები ყიდულობენ ჩემს ნახატებს და ამიტომო... ასეა, შენსას სხვები კარგად ხედავენ. შესანიშნავი პროცესია, როდესაც შენი ნამუშევარი გადის უცხოეთში, სადღაც მოხვდება, ან მუზეუმში, ან კერძო კოლექციაში და ეს ჩვენი სიმდიდრეა. მინდა ვთქვა, რომ მის ფერებში ყველაფერი აქაურია, ჩვენია, ქართულია. ვულოცავ რევაზს და ვულოცავ უნივერსიტეტს ამ გამოფენას და წარმატებები მინდა ვუსურვო.**

გამოფენის დამთვალიერებელთა შორის იმყოფებოდნენ ის ადამიანები, რომლებსაც, თავის დროზე, ასწავლიდა რევაზ ხითარიშვილი. მათ მაღალი შეფასება მისცეს გამოფენილ ნამუშევრებს.

ბექა კოპაძე: ჩვენ ძალიან დიდი ხანია ვმეგობრობთ. ვთვლი, რომ ბატონი რეზო ერთ-ერთი საუკეთესო მხატვარია თავისი ფერწერებით, თავისი კომპოზიციებით არა მხოლოდ რეგიონში, არამედ საქართველოში. ძალიან მიხარია ასეთი გამოფენა რომ მოეწყო ჩვენს უნივერსიტეტში. გილოცავთ, რეზო, ამ მნიშვნელოვან დღეს.

სპარტაკ ჯვარაძე: მართლაც, შესანიშნავი მხატვარია დღევანდელი გამოფენის ავტორი, რომელიც თავისი ხასიათით, თავისი ინდივიდუალურობით გამოირჩევა, თუმცა, თავისი თვისებებით, თავმდაბლობით ყოველთვის ჩრდილში დგას. მისი ნამუშევრები ამბობენ და მომავალშიც იტყვიან სათქმელს, რომ ის არის დიდი ხელოვანი.

მხატვრის შემოქმედებასა და პირად მთაბეჭდილებებზე ისაუბრეს დაწყებითი განათლების ფაკულტეტის მე-2 კურსის სტუდენტმა **ვალერი ჭრელაშვილმა**, ასოცირებულმა პროფესორებმა – **ნატო ყრუაშვილმა** და **ლალი ბერიძემ**, საქართველოს პარლამენტის მეოთხე მოწვევის დეპუტატმა **ანზორ თამარაშვილმა**,

კულტურისა და სპორტის სამსახურის უფროსმა **თემურ მაღრაძემ**, მუზეუმის თანამშრომელმა **მარიამ ჩიტაშვილმა.**

რევაზ ხითარიშვილმა მადლობა მოახსენა ყველას მისი შემოქმედების ასეთი მაღალი შეფასებისთვის. **საერთოდ, მხატვრობა ძნელად რომ ადამიანმა გაიაზროს, რა არის. როდესაც გორში წავედი სასწავლებლად, ეს იყო ოთხმოციანი წლები, იქ გავიცანი მხატვრები და, როგორც ჩანს, ჩემში იყო ის რაღაც, რამაც ფუნჯი ამაღებინა ხელში. საერთოდ, მხატვრები ერთმანეთს ზრდიან, ერთმანეთს ეხმარებიან. გამოფენები ხშირად ეწყობოდა ცისფერ გალერეაში, სხვადასხვა საგამოფენო დარბაზში. ახლა კერძო დარბაზებია და რომ მოაწყო გამოფენა, თანხა გჭირდება, თანხა, რომელიც არ არის. მე მხატვრებმა გამზარდეს, იმათგან ვისწავლე და უფრო ჩავუღრმავდი მხატვრობას. მაშინ მხატვრები ერთმანეთის სახელოსნოებშიც დავდიოდით, ერთმანეთს ვუზიარებდით ცოდნას. ისე, მე თვითონ უკმაყოფილო ვარ ჩემი ნამუშევრებით იმიტომ, რომ დრო ბევრი გავაცდინე. ახალგაზრდებს ვეტყვი, დრო არ დაკარგონ უქმად, გამოიყენონ ახალგაზრდული ენერგია, უნარი. მადლობა მინდა გადავუხადო გამოფენის ორგანიზატორებს. ბატონ მერაბს დიდი მადლობა იმიტომ, რომ ბევრჯერ დამეხმარა. უფრო მეტი სტიმული გეძლევა, როდესაც ასეთ თანადგომას გრძნობ. ყურადღება მინდა გავამახვილო გამოყენებითი ხელოვნების ფაკულტეტზე. არც ერთ სხვა კუთხეში არ არის ასეთი ფაკულტეტი. ჩვენი მხარე, მითუმეტეს მესხეთი, ამ მიდგომამ წამოწია წინ. ძალიან ბევრი შემოქმედი ახალგაზრდა, რომლებიც ახლა პედაგოგებადაც მოღვაწეობენ, უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები არიან. მე მათთან ბრწყინვალე ურთიერთობა მაკავშირებს. დიდ მადლობას გიხდით გამოფენის ორგანიზატორებს და თითოეულ მონაწილეს.**

უნივერსიტეტის რექტორმა მაკა ბერიძემ ღონისძიების დასასრულს აღნიშნა, რომ ძალიან მნიშვნელოვანია, ახალგაზრდები არ მოწყდნენ ხელოვნებას, განსაკუთრებით – ჩვენს კუთხეში. უნივერსიტეტი თავის დროზე, დაარსებისთანავე, ბატონი მერაბის დამოკიდებულებების წყალობით და იმ ადამიანების წყალობით, ვინც მხარს უჭერდა ამ დამოკიდებულებებს, ამ საქმეს ახორციელებდა. უნივერსიტეტი დღესაც უნდა აღმოჩნდეს საჭირო სიმაღლეზე და ეს სათანადოდ დააფასოს. აუცილებლად უნდა გაგრძელდეს ახალგაზრდების სტიმულირება, მათი გარკვეული ჩართულობა ამ საქმიანობაში.

ქალბატონმა მაკამ გამოფენის მონაწილეთ გააცნო იდეა – უნივერსიტეტის ფარგლებში, „ხელოვანთა კლუბის" დაარსების შესახებ: **მოდით, ამ ეტაპზე ამ კლუბს დავარქვათ „მუზეუმთან არსებული ხელოვანთა კლუბი" და თუ დაგვიჭერთ მხარს, გამოფენის ორგანიზატორებს ვთხოვოთ, ორგანიზება გაუწიონ ამ კლუბის დაფუძნებას. ჩვენგან სრული მხარდაჭერა იქნება. მე ვიტოვებ იმედს, რომ ეს იდეა განხორციელდება და შემდგომი გამოფენა გაიმართება უკვე კლუბის წევრთა ჩართულობით. მათი რეცენზიები, თვალსაზრისი წარუძღვება წინ და ჩვენ მოვისმენთ ფერწერით დაინტერესებული, მუსიკით დაინტერესებული თუ მუსიკოსების, ლიტერატურით დაინტერესებული ადამიანების, მწერლებისა და პოეტების შეფასებებს, რაც კიდევ უფრო საინტერესოს გახდის ასეთ შეხვედრებს.**

რექტორის ახალი იდეის შესახებ მერაბ ბერიძემ აღნიშნა, რომ სწორედაც დღეს უნივერსიტეტს შესწევს ძალა, გარკვეული მიმართულება მისცეს ხელოვნებას სამცხე-ჯავახეთში. ბევრია შემოქმედი, ბევრია ისეთი ადამიანი, რომელსაც, სხვას რომ თავი დავანებოთ, უნდა, მოისმინოს აზრი თავის შემოქმედებაზე. ამიტომ ამ ტიპის კლუბის არსებობა შეხვედრებისთვის, გამოფენებისთვის აშკარაა და სასიკეთო. ახალციხეში ისეთი ძალებია დღეს, საკმაოდ წარმატებული კატეგორია ადამიანების, ახალგაზრდობა, მათ შორის – სტუდენტები. **რა თქვა ბატონმა რეზომ – მე აკადემიაში იმდენი არ მისწავლია, რამდენიც ვისწავლე კოლეგებთან სახელოსნოებშიო. სწორედ ამ ტიპის შეხვედრები უშველის, ასეთი ურთიერთობები უშველის, ამ ტიპის მეგობრობა უშველის ამ ქვეყანას. მით უფრო, რომ აქ არის მრავალეროვანი, განსაკუთრებით ქართულ-სომხური კულტურა გვხვდება სამცხე-ჯავახეთში. უნივერსიტეტმა ეს უკვე შეძლო – ეს ორი კულტურა შეახვედრა ერთმანეთს და დარწმუნებული ვარ, რომ ორი კულტურის სასიკეთოდ ის სერიოზულ შედეგს მოიტანს უახლოეს მომავალში.**

„ხელოვანთა კლუბის" გახსნის იდეამ, დამსწრეთა მხრიდან, დიდი მონონება დაიმსახურა. გამოითქვა აზრი, რომ რეგიონში ეს იქნება პირველი ასეთი სახის კლუბი და მისი დაარსების ინიციატორად, როგორც ბევრი სხვა სიკეთის, გვევლინება სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

ჩვენი კორესპონდენტი

● **სამცხე-ჯავახეთის** სახელმწიფო უნივერსიტეტის მკლავჭიდელთა გუნდი აქტიურობითა და სპორტული მიღწევებით გამორჩეულია. უნივერსიტეტის მკლავჭიდელთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი, იურიდიული ფაკულტეტის მეოთხე კურსის სტუდენტი, 21 წლის **გაგა გელაშვილია.**

20 დეკემბერს, უნივესიტეტის მკლავჭიდელებმა მონაწილეობა მიიღეს **„თბილისის თასის პირველობის"** გუნდურ შეჯიბრში და ასპარეზობის მონაწილე 30 გუნდს შორის მეოთხე ადგილი დაიკავეს.

ნაკრებში თავისი შედეგებით განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ: ინფორმაციული ტექნოლოგიების სპეციალობის პირველკურსელები: **აზატ ფარმანიანი** და **გიორგი ავალიანი** და ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტის პირველკურსელი **მკირტიჩ მალხასიანი.**

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი ულოცავს მკლავჭიდელებს გამარჯვებას და ახალ წარმატებებს უსურვებს მათ.

● **26 დეკემბერს,** სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნი-

ინფორმაცია

ვერსიტეტის მეორე კორპუსში **ახალგაზრდული კლუბი** SKYE New Possibility-ს დახურვის ღონისძიება გაიმართა, კლუბი ფუნქციონირებდა **„კომპეტენციები დასაქმებისათვის"** პროექტის ფარგლებში, ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით World Vision საქართველოს მიერ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტთან თანამშრომლობით. შეხვედრას ესწრებოდნენ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, ასოცირებული პროფესორი მაკა ბერიძე, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, პროფესორი როინ თათეშვილი, World Vision საქართველოს SKYE კლუბების კოორდინატორი დავით დაიაური და ა(ა)იპ ახალციხის ციხის ადმინისტრაციის წარმომადგენლები.

ახალგაზრდული კლუბის ლიდერებმა წარმოადგინეს ერთწლიანი საქმიანობის შედეგები პრეზენტაციის სახით, კლუბის წევრებსა და მონაწილეებს გადაეცათ სერთიფიკატები. დახურვის ღონისძიება დაგვირგვინდა „სამაგიდო თამაშების" კლუბის გახსნით. **„სამაგიდო თამაშების"** კლუბის მიზანია ხელი შეუწყოს ახალგაზრდების ჩართულობის ზრდას შემეცნებით და გასართობ აქტივობებში, მათი სოციალიზაციისა და დროის საინტერესოდ გატარების მიზნით. ეს კლუბი წარმოადგენს SKYE New Possibility-ს მიერ განხორციელებული „შენი სამაგიდო თამაში" პროექტის გაგრძელებას. აღნიშნული პროექტი დაფინანსებულია World Vision **საქართველოს „კომპეტენციები დასაქმებისათვის"** პროექტის ფარგლებში და სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ.

ინფორმაცია უნივერსიტეტის facebook-ის გვერდიდან

თამარ თამარაძის ფერთა ჰარმონია

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მუზეუმში, 12 დეკემბერს, გაიმართა მხატვარ **თამარ თამარაძის** ნამუშევრების პერსონალური გამოფენა, რომლის დათვალიერების სურვილი არა მხოლოდ უნივერსიტეტის თანამშრომლებმა და სტუდენტებმა, არამედ ქალაქის ფართო საზოგადოებამ გამოხატა. დამთვალირებელთა შორის იმყოფებოდა ახალციხის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე გურამ მელიქიძე, მერიის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურის უფროსი ზაზა თამარაშვილი, საქართველოს პარლამენტის მეოთხე მოწვევის დეპუტატი ანზორ თამარაშვილი, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები, მხატვრის კოლეგები, სამხატვრო სკოლის პედაგოგები და მოსწავლეები, ასევე, ხელოვნების თაყვანისმცემელნი საზოგადოების სხვადასხვა სფეროდან. გამოფენის სტუმრები მხატვრის ფერწერულ ტილოებს, ვიტრაჟულ ნამუშევარსა და ბატიკის ნიმუშებს გაეცნენ.

გამოფენის ორგანიზატორებმა დამთვალიერებლებს დაახვედრეს მშვენიერი მცირე ფორმატის ბუკლეტი (ასეთი გამოფენებისთვის უკვე ტრადიციული), რომელშიც, მხატვრის რამდენიმე ნამუშევართან ერთად, ძალზე საინტერესო ინფორმაციის ტექსტია განთავსებული.

„თამარაძეთა ძველი გვარი ჯავახეთიდანაა. თამარ თამარაძის ნახატებში ჯავახეთის ღაჟღაჟა ყვავილთა კონტრასტული ფერები სჭარბობს, ბოლო დროს კი კლდეთა და ხავსმოდებული ძეგლების დალვინებულმა, დამჯდარმა ფერებმა იძალა. ესეც ჯავახურია. მხატვარს გენებში აქვს ფერთა ჰარმონია.

ჯერ კიდევ ახალციხის ინსტიტუტში ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის გამოყენებითი ხელოვნების მოდელირების მიმართულებაზე სწავლისას გამოირჩეოდა თამარი, როგორც ხელოვანი, საქმის ერთგული და შრომისმოყვარე შემოქმედი. მისი პირველი გამოფენაც სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტთანაა დაკავშირებული.

დღეისათვის თვითონ ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას და დაუზარებლად გადასცემს მომავალ თაობას საკუთარ გამოცდილებას. მისი შეგირდები წარმატებით ეუფლებიან ხატვის ხელოვნებას ქალაქ ახალციხის სამხატვრო სკოლაში. თამარმა თავი გამოიჩინა, ასევე, მინანქრის, ვიტრაჟებისა და გამოყენებითი ხელოვნების სხვადასხვა დარგში. ქართულ კულტურაზე დაყრდნობით შექმნილი ტრადიციული ფორმის ჭურჭელი, სერვიზი შთამბეჭდავი და მრავლისმთქმელია.“

ვფიქრობთ, მხატვრის პიროვნებასა და შემოქმედებაზე წარმოდგენისთვის, შემოთავაზებული ინფორმაცია, იმასთან ერთად, რაც გამოფენაზე ითქვა და რაც გვინდა, მოგაწოდოთ რეპორტაჟის სახით, სრულ შთაბეჭდილებას შეუქმნის ჩვენს მკითხველს.

ღონისძიება გახსნა უნივერსიტეტის რექტორმა, ასოცირებულმა პროფესორმა **მაკა ბერიძემ:** დიდი მადლობა იმისთვის, რომ დღევანდელი დღე შედგა. აქ ძალიან ბევრ რამეს გაესვა ხაზი. გამოფენა ჩვენს უნივერსიტეტში პირველი არ არის, მაგრამ ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ეს ნახატები ახალია. ჩვენ შემოგვთავაზეს შემოქმედების უახლესი თემატიკა. მნიშვნელოვანია, რომ დღეს აქ თამარის მასწავლებლები არიან. მე დღევანდელ გამოფენას მისი მხრიდან განვიხილავ, როგორც მადლობას, თავისი მასწავლებლებისადმი. ეს დღევანდელი შეხვედრა, არის გარკვეული ანგარიშგებაც, თითქოს, შეგირდისა თავისი ოსტატების წინაშე და უნივერსიტეტი ძალიან ბედნიერია ამით. ძალიან ემოციურია ჩემთვის, რომ უკვე ამ უნივერსიტეტში გამოზრდილმა შემოქმედმა შეძლო თავისი პერსონალური გამოფენა, ეყო გამბედაობა, თავისი მასწავლებლების წინაშე წარმდგარიყო და სიმართლე გითხრათ, გულისფანცქალით ველოდები შეფასებებს, რას ფიქრობენ მასწავლებლები თავიანთ მოსწავლეზე.

ჩემთვის პირველი, რაც მომხვდა თვალში, ეს იყო თავად ხელოვნება, ფერწერა, მხატვრობა. თამარის ნახატები ეხმაურება ხელოვნებას იმიტომ, რომ ეხმაურება მუსიკას, ასევე, მარადიულ თემებს. ჩვენთან ასეა, ვგულისხმობ – ლიტერატურაში, თვალები სულის სარკეა და აი იმ თვალებში, რასაც ვხედავთ თამარის ნახატებიდან, თამარის სულს ვხედავთ. ეს ძალიან ლამაზი სულია. ზოგჯერ სევდიანი, ზოგჯერ იდუმალი, ყოველშემთხვევაში, ძალიან საინტერესოა. შეიძლება დადგე ერთ ნახატთან და ამ ნახატმა გიამბოს მთელი ისტორია. მე დავინახე თამარის შემოქმედებაში სიცოცხლის სიყვარული. მინდა, რომ ის სიცოცხლის სიყვარული თავისი ფერებით, ფერთა ცვალებადობით, ახალი მიღწევებით, ახალი ხედვებით არ განელებოდეს მას. წარმატებებს ვუსურვებ. ფასდაუდებელი იქნება ის, რომ თამარს ვთხოვოთ, უნივერსიტეტის თემატიკაზე გაგვიმზადოს სუვენირები. ჩვენ ჩვენს ყველაზე ძვირფას სტუმრებს ვუსახსოვრებთ ამ ხელითნაკეთ სუვენირებს. დიდი მადლობა თქვენ, ვინც იყავით და ქმნიდით თამარს.

მერაბ ბერიძე, *რექტორის მოადგილე სამეცნიერო მიმართულებით, პროფესორი:* ძალიან სერიოზული, მუყაითი, გამრჯე, მოაზროვნე მხატვარი გახლავთ ჩვენი თამარ თამარაძე. ჩვენი ქალაქის, ჩვენი მხარის, ჩვენი უნივერსიტეტის კურსდამთავრებული და გაზრდილია და სერიოზულ ტონს აძლევს დღეს თავისი შემოქმედებით ჩვენს მხარეს, ჩვენს კუთხეს. ბავშვობიდან აწვალებდა ფერებს. აქედან გამომდინარე, ამ ფერებს ვაკვირდები. აგერ, ბოლოში რომ ნახატია, იმასა და დანარჩენ მხატვრობას შორის უკვე განსხვავებაა. პირველი სხვაობა სწორედ ფერებშია. პირველი სხვაობა ის არის, ჩვენი პატარა ბუკლეტი მორიდებულად წერდა, რომ სხვა ფერები წამოვიდა, დინჯი, დაღვინებული და, რაც მთავარია, მშობლიური ფერები წამოვიდა, გადაძალა უდაბნოს ფერები, გადაძალა მხიარული ფერები. ჯავახურმა ფერებმა გადაძალა და მე ვფიქრობ, რომ მნიშვნელოვანი და საინტერესოა.

მნიშვნელოვანი ისაა, რომ თამარი ეძებს. დღეს ბევრი ვერ დაიტრაბახებს ამ ტიპის ვიტრაჟებით, რომელიც აქ არის წარმოდგენილი. მინდა მას მივულოცო ამ ტიპის მუყაითობა და წარმატება ვუსურვო.

რამაზ კორშია, *მხატვარ-რესტავრატორი:* თამარს მივულოცავ, მშვენიერი ნამუშევრებია. ჩვენ ძალიან ბევრი მოსწავლე გვყავდა, მაგრამ უმრავლესობა არ ცხოვრობს ისე, როგორც მხატვარი. რთულია მხატვრის გზა. თამარმა აირჩია ეს რთული გზა. რასაც თვალს ვადევნებთ, დღითიდღე იზრდება. მიუხედავად იმისა, რომ დღეს ძალიან ძნელია მხატვრისთვის ასე ფართო მასშტაბით ნამუშევრების შექმნა, რადგან რთულია საღებავის, ჩარჩოს და სხვა მასალის შეძენა (ეს ყველაფერი თანხას უკავშირდება), თამარი ახერხებს ამას. ეს არის – სწავლა სიბერემდეო. ვინც ამ საქმეს არ ეშვება, შედეგს აღწევს. ჩვენზეც არის დამოკიდებული, უნდა შევუწყოთ ხელი, რომ ადამიანმა ხელი არ ჩაიქნიოს, არ იფიქროს – არავის სჭირდება ჩემი ნახატიო. ამას ჩვენ უნდა შევუწყოთ ხელი. მადლობა უნივერსიტეტს. ბევრი კურსდამთავრებული ჰყავს უნივერსიტეტს და კარგი იქნება, თუ საგამოფენო დარბაზზე ვიზრუნებთ, მითუფრო, რომ ახალციხესაც არა აქვს საგამოფენო გალერეა, ხან თეატრის ფოიეში ეწყობა გამოფენა, ხან სად და ხან სად... უნივერსიტეტს მაინც ჰქონდეს ერთი კარგი დარბაზი, მას ეს შეშვენის და კარგადაც გაუძღვება. ბევრ ქალაქში არ ხდება ასეთი რამ, რაც ახალციხეში და ეს ძალიან მისასალმებელია.



ლელა ფერაძე, *მხატვარი:* დიდი მადლობა მინდა გადავუხადო უნივერსიტეტს იცით, რატომ? ასე არსად ხდება, ეხვეწებოდნენ მხატვრებს, ეპატიჟებოდნენ – მოდით და გვაჩვენეთ თქვენი ხელოვნებაო. ეს ხდება აქ, უნივერსიტეტში. ეს მარტო ჩვენთვის კი არ არის კარგი, ეს ქართული საქმეა, ეს პატრიოტიზმია.

რომ შემოვედი, თამარმა – მითხარი შენიშვნაო. შენიშვნები როგორ შეიძლება მხატვარმა მხატვარს მისცეს?! შეიძლება რჩევა მისცე. აგერ, იქ ვხედავთ თამარს გაღიმებულს, ისეთს, როგორსაც ვხედავთ ყოველთვის და... მთავრდება მისი ნაღვლიანი პორტრეტით ხეებს მიღმა. ეს ისეთი განვითარების ხაზია, არ ვიცი, თვითონ რას განიცდის, მაგრამ აშკარაა, იმ მხიარული მხატვრის, ავტორის მიღმა როგორი დიდი სევდაა. თამარის მაჟორულ ფერწერას ვხედავთ, აბსტრაქციას – მწვანეს, წითლის... მაქსიმალური კონტრასტია გაკეთებული, აი, ასეთი ფერწერა ახასიათებდა. დღეს შემოვედი და ვხედავ, მისი დაღვინების პერიოდიც არის.

თამარის შემოქმედებაში შემოვიდა სიმბოლიკა. ადრე უფრო ნაკლებად ვხედავდით. ახლა მის შემოქმედებაში არის ბევრი სიმბოლური ელემენტი, პეიზაჟის მიღმა ადამიანი და სხვა. ყველა ნახატზე, კომპოზიციაზე შემიძლია ვისაუბრო. თამარი ყოველ გამოფენაზე ახალ ნამუშევრებს გვთავაზობს, ეტაპებს ვხედავთ ახალს და ეს ეტაპები იზრდება, კიდევ უფრო ზევით მიდის. მე მასწავლებელი არ ვარ, ის არის ჩემი კოლეგა და მიხარია, რომ ასეთი ღირსეული მხატვარი ჰყავს ქალაქს.

ფრიდონ ბოლქვაძე, *მხატვარი:* სიღრმისეული ნამუშევრებია. თამარს მისი აქვს ყველაფერი. ძალიან მომეწონა მისი დეკორატიული შემოქმედება. როგორც ხელოვანს, წარმატება მინდა ვუსურვო. კარგი შემოქმედია და ღმერთმა ხელი მოუმართოს.

გურამ მელიქიძე, *ქალაქ ახალციხის მერის მოადგილე:* ჩვენს თამარს დაბადების დღე ჰქონდა და მინდა მივულოცო. მეამაყება, რომ ჩვენი სამხატვრო სკოლის პედაგოგი გახლავთ. მისი ნამუშევრები მეტყველებენ, რომ პროფესიონალი მხატვარია. გვიხარია, რომ ჩვენს ქალაქს და ჩვენს სამხატვრო სკოლას ასეთი მხატვარი ჰყავს, რომ ასეთი მხატვარი ასწავლის ჩვენს ბავშვებს, უკეთესი გემოვნება რომ ჩამოუყალიბდეთ. დიდი მადლობა გამოფენის ორგანიზატორებს დღევანდელი დღისთვის.

ზაზა თამარაშვილი, *მერიის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურის უფროსი:* პირველ რიგში, ძალიან მიხარია, რომ ვიმყოფები მშობლიურ უნივერსიტეტში. მიზეზი გვაქვს გამორჩეული. შესანიშნავი ხელოვანის ნამუშევრების გამოფენა არის დღეს. მინდა მივულოცო თამარს დღევანდელი დღე. თამარის პერსონალური გამოფენა ადრეც ყოფილა. მიხარია, რომ მას განსხვავებული და ახალი ნამუშევრები აქვს წარმოდგენილი. ის, როგორც შემოქმედი, ვითარდება და თავის სათქმელს ამბობს. მინდა ვუსურვო თამარს მომავალში შემოქმედებითი წარმატება.

ანზორ თამარაშვილი, *საქართველოს პარლამენტის მეოთხე მოწვევის დეპუტატი:* თამარის ნამუშევრებში ვხედავ მუსიკალურ ინსტრუმენტებს. აქ წარმოდგენილია შესანიშნავი ნამუშევრები, როგორც პეიზაჟი, ასევე სხვადასხვა ჟანრი. პროფესიონალის ხელი ეტყობა ყველა ნამუშევარს. წარმატებები მინდა ვუსურვო თამარს. ვიოლონჩელოს ვხედავ მე. მხატვარს აქვს ჩაფიქრებული სიყვარული ამ ინსტრუმენტისადმი. შემთხვევით არა ხართ თქვენ შეჩერებული ამ ინსტრუმენტზე. ყველაზე ახლოს ადამიანის ხმასთან ვიოლონჩელოა. როდესაც ვანო სარაჯიშვილი გარდაიცვალა, იქ დადიოდა ვანოს ნაცვლად შუქი და სრულდებოდა ჩელოზე ვანოს პარტია, რომელსაც ის მღეროდა ზაქარია ფალიაშვილის ოპერაში „აბესალომ და ეთერი“. ვხედავ კიდევ ვიოლინოს. თქვენი საყვარელი ინსტრუმენტი რომ ვიოლინოა, ესეც შემთხვევითი არ არის. წამყვანი ინსტრუმენტია სიმფონიურ ორკესტრში. ამიტომ, მივესალმები დღევანდელ დღეს და დიდი წარმატება მინდა ვუსურვო ამ დიდებული ნამუშევრების ავტორს.

თემურ მაღრაძე, *სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის კულტურისა და სპორტის სამსახურის უფროსი:* მე მახსოვს, როდესაც სამხატვრო სკოლა დავაარსეთ ახალციხეში, იყო, დაახლოებით, 35 მოსწავლე. ახლა, ალბათ, 300-ზე მეტი მოსწავლეა. ეს ისეთი პედაგოგების დამსახურებაა, როგორიცაა თამარი. დღეს მან შესანიშნავი გამოფენა შემოგვთავაზა. ნახატები თავისას ამბობენ, შემოქმედება თავისას ამბობს. იგრძნობა, რომ გამოფენის ავტორი არის უდიდესი სულიერი სამყაროს მატარებელი. აქ იმყოფებიან ქალაქის მერიის წარმომადგენლები, აქ არის უნივერსიტეტი. ალბათ დროა, ვიზრუნოთ იმაზე, რომ არსებობდეს საგამოფენო დარბაზი, სადაც იქნება საშუალება გამოფენების მოწყობის. დიდი მადლობა თამარს, რომ ფერწერაში მუშაობს. წარმატებებს ვუსურვებ მას.

როინ ყავრელიშვილი, *პროფესორი:* მახარებს ის ფაქტი, რომ ჩვენი კურსდამთავრებული გამოჩნდენ, როგორც უნივერსიტეტში, ასევე საზოგადოებაში. ეს არის უნივერსიტეტის დიდი დამსახურება, იმ იდეის დიდი დამსახურება, რაც ამ უნივერსიტეტში და ამ კედლებში იყო ჩადებული. შეუძლებელია იდეის გარეშე, შეუძლებელია სწორი გზის გარეშე მიხვიდე ასეთ გამოფენამდე. ეს ერთ დღეში არ კეთდება. ამას სჭირდება მრავალწლიანი შრომა და სწორი მიმართულების მიცემა. ეს დამსახურებაა თქვენი, ბატონო მერაბ, ყველა ჩვენი მასწავლებლის და ყველა იმ ადამიანის, ვინც ჩანდა ან არ ჩანდა იმისათვის, რომ უნივერსიტეტის კედლებში აღზრდილიყო თაობა, განხორციელებულიყო იდეა და დადებულიყო შედეგი, რომელიც არ გაჩერდება. უნივერსიტეტი ცოცხალი ორგანიზმია, ისეთივე ცოცხალი ორგანიზმი და ისეთივე ლამაზი, როგორიც თამარის ნახატებია და როგორიც თამარი გახლავთ.

ღონისძიების დასრულების შემდეგ გაზეთისთვის კომენტარი ვთხოვეთ პროფესორ **მერაბ ბერიძეს:**

1990 წელს მე ვწერდი, რომ საუნივერსიტეტო განათლება ნიშნავს აკადემიურ განათლებას, განათლებას კულტურასა და ხელოვნებაში და განათლებას სპორტში, რომ უნივერსიტეტი პრიორიტეტებს უნდა ჩაეჭიდოს და ამ სამი მიმართულებით უნდა იმუშაოს და წაუძღვეს ჩვენს მხარეს. მე ამ იდეის ერთგული ვარ დღესაც, დღესაც მჯერა, ხელოვნების გარეშე ვერცერთი უნივერსიტეტი ვერ იარსებებს, ასევე, სპორტის გარეშე ვერ იარსებებს და, რა თქმა უნდა, მისი ძირითადი ფუნქცია რაც არის – აკადემიური ფუნქცია, განათლების ფუნქცია, ამას შეასრულებს უეჭველად. სხვაგვარად უნივერსიტეტი ვერ იარსებებს. ამას ემსახურება დღეს ჩვენი კურსდამთავრებული მხატვრის თამარის ნამუშევრების გამოფენა. მის სისხლში, გენში, მის მთელ არსებაში ზის სამხრეთული, მესხური, ჯავახური გენეტიკა. ეს ჯავახური არ არის მარტო გარემო, არ არის მარტო სივრცე და ყველაფერი ის, რაც ამ სივრცეშია. ეს ყველაფერი, მაინც, სულიერ ნაწილში აისახება ხოლმე და ნებისმიერი მატერიალური სულიერების გარეშე არ არსებობს. მაღალი სულის მხატვარია ჩვენი თამარი; ეს სული მისი მოდის მისი მამულიდან, მისი ჯავახეთიდან, იმ ადგილებიდან, რომლის ფერებიც პირდაპირ გვეუბნება – აი, ესა ვარ მე!

ჩვენი კორესპონდენტი

რედაქტორი
მარინე ზედელაშვილი

სარედაქციო კოლეგია:
ლიკა ზაზაშვილი, მარიამ სუდაძე, ანა არუთუნიანი

მისამართი
ქ. ახალციხე, რუსთაველის 113

ტელ.: (+995) 22 890 400 191
ტელ.: 599 25 25 68

ვებ-გვერდი: www.sjuni.edu.ge